

გიორგი გოგოლავალი



ბედი ქართული ენისა
ათასწლეულთა მიჯნასთან

გიორგი გოგოლაშვილი

ბედი ქართული ენისა
ათასწლეულთა მიზნასთან

თბილისი
2009

აქვსენტი ცაგარელი ამბობდა თურმე
იაკობ გოგებაშვილზე (ჯერ ბოდიშს მო-
იხდიდა და მერე იტყოდაო): „ქართველებს
და ქართულ ენას ისეთი ასარბასარა და-
რაჯი ჰყავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს
დააკლებხო, არავის გაახარებს, თუ ჯიბრზე
მიღება საქმეო“...

ვაი, როგორ სჭირდება დღეს ქართვე-
ლებსა და ქართულ ენას ასეთი „ასარბა-
სარა დარაჯი!“...

დიზაინი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
პაატა მამფორიძისი

ერთ დედაა ენისა. ენა კი ხალხის გონიერივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია. იგი არის უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა. რა ენა წახდეს, ერთც დაეცეს. ამიტომ ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება ენას... პოდა, ქრულია მისი სსენება, ვინც დაგმობს დედა-ენას! – ეს ქართული აზრია იღიას, აკაკის, იაკობის, ვაჟას, გ. ორბელიანისა და ანას მიერ გაღმოცემული. ამ აზრშა მიბიძგა ამ წიგნის შექმნისაკენ...

„ბედი ქართული ენისა“ ბოლო წლებში დაწერილი წერილებისა თუ საუბრების კრებულია. ყველა მათგანი სხვადასხვა დროს სხვადასხვა გაზიერში ქვეყნდებოდა. ყოველი წერილის გამოქვეყნებისას მეგონა, ამ თემაზე საუბრი აღარ მომიწევდა – წერილი მიზანს მიაღწევდა... ეს გამოუსწორებელი ოპტიმისტის ფიქრი ყოფილა: იმ წერილშა თუ ვერ მიაღწია მიზანს, ეს მაინც მიაღწევს-მეთქი... ამ განწყობით დაიწერა ეს წერილები... იცით, კიდევ რამდენია სათქმელი? ითქმება კიდევ, რადგან არ ჩანს ნება ამ საკითხების მოგვარებისა... დედაენის ბედი კი

ყოველდღიურად მძიმდება... დედაენისაც და „დედაენისაც“... ამიტომაცაა, რომ წიგნის პირველი ნაწილი დედაენას – ქართულ ენას – ეხება; მეორე ნაწილი „დედაენას“ – ქართული ენის პირველ სახელმძღვანელოს. მესამე ნაწილად „სიცილნარევი ასოცია-ციები“ დავურთეთ (წიგნიდან „ასოციაციები. ვარდისფერი პარადოქსები“); ეს ის სიცილია, პოეტი რომ ამბობს: „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“...

ამ თემებზე კარგა ხანია ვწერთ. სამ წიგნადაც გამოვეცით პერიოდულად გამო-ქვეყნებული მასალა: „ფიქრები დედაენაზე“ (1997), „დედაენა“ – წიგნთა წიგნი“ (2001), „ქართული – ენად შემგული და კურთხე-ული“ (2004). ესეც „ბედი ქართული ენი-სა ათასწლეულთა მიჯნასთან“... შეისმენს, ვინც უნდა ისმინოს? ეწევა ბედს ქართული ენა მესამე ათასწლეულის დასაწყისში? ენასთოთ...

ნაწილი I

გედი ქართული ენისა მესამე ათასობის კარიბჭესთან

ყურადღებას ვთხოვ საქართველოს
ხელისუფლებას

ცეცხლზე შემოდგმულ რძესაგით
უნდა თვალყურის დევნება ენას.
ანა კალანდაძე

თვალს თუ გავადევნებთ ქართული ენის ისტორიას, დავრწმუნ-
დებით, რომ ოდითგანვე ქართველი კაცი დედაენას აღმერთებდა,
ყურადღებას არ იყლებდა, უვლიდა, პატრონობდა... კი, პქო-
ნია შექირვების პერიოდებიც ქართულ ენას, მაგრამ მძიმე ყოფა
წარსულს ჩაპირებია... გგწამდა და გვწამს, რომ „ენა საღვთო
რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხე-
ლით არ უნდა შეეხოს“.

დღეს კი რა ხდება?

ისევ ანა კალანდაძეს მოგიშველიებ: „ლამის ისევ „წაეცხოს
ჩირქი ტაძარსა წმიდას!“ სალიტერატურო ენის ნორმები ყოველ-

თვის ირღვეოდა. მაგრამ ეს ძალიან ხელშესახები გახდა ქვეყანაში უკანასკნელ ხანებში მომხდარი კატაკლიზმების „შედეგად“. ეს 1995 წელს ითქვა. ამის შემდეგ, ამ ათი წლის მანძილზე, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ვითარება საგრძნობლად გაუარესდა. ჩვენ შეგვცდებით, ზოგადი სურათი დაგხატოთ ქართულ ენაზე თავსჩენილი უბედურებისა.

• • •

1935 წელს შეიქმნა სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია, რომელმაც ოთხმოცდაათიან წლებამდე იარსება. კომისიას სათავეში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ედგა – პრესტუულობისათვის; იმისათვის, რომ მის გადაწყვეტილებებს კანონის ძალა პქონოდა. ამ კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა. გამოიცა სოლიდური კრებული – „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, წიგნი I (1971 წ.), სამი ბიულეტენი ამავე სახელწოდებით (1985-1987 წლებში)... ოთხმოცდაათიან წლებში ამ კომისიის მუშაობა შეწყდა – ეს საბჭოთა სტრუქტურა იყოო... არადა, ამგვარი რამ არ ყოფილა არცერთ საბჭოთა რესპუბლიკაში, არც სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. მეცნიერებმა, მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა დადაენის მოვლა-პატრონობის ეს საშუალება გამოძებნეს და საქმედ აქციეს მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში. ჩვენ ეს დიდი ტრადიცია კომუნისტურ წყობას გადავაყოლეთ.

შეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგად 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტიან შეიქმნა „ქართული ენის მუდმივი (!) სახელმწიფო კომისია“. ეს იყო აღრე არსებული კომისიის აღდგენა გაფართოებული უფლებებით. ვერ ვიტყვი, რომ ამ კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა. რამდენიმე ფორმალური სხდომა გაიმართა (ძირითადად სათოთხმეტაპრილოდ და წინასაარჩევნო პერიოდებში...) და დღეს ეს კომისია აღარ არსებობს.

ცხადია, მოსაგვარებელი პრობლემები არ გამქრალა, პირიქით – გამრავლდა კიდეც და ყოველდღიურად ვიმკით უკონტროლობის შედეგებს... ცუდად მომუშავე კომისიის ამუშავება, ამოქმედება იყო საჭირო და არა გაუქმება. ჩვენ სხვაგვარად მოვიქცით...

ამგვარ ნაბიჯს არასასურველი შედეგები მოჰყება...

• • •

1995 წლის მოწვევის პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. არსებობდა სერიოზული დასაბუთება ამგვარი ქვეკომიტეტის არსებობის აუცილებლობისა. ჩვენ ასე გვეხმის: პარლამენტში კომიტეტისა თუ ქვეკომიტეტის მიზანი საკანონმდებლო საქმიანობაა. ვერ ვიტყვი, რომ ქართული ენის ქვეკომიტეტმა რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებისათვის არაა ცნობილი. მაგრამ არც ამ ქვეკომიტეტის არსებობა-არარსებობის მიზანშეწონილობის შესახებ ყოფილა მსჯელობა... 2004 წლიდან პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი აღარ არსებობს. რატომ? თუ ცუდად მუშაობდა, მისი უკეთ ამოქმედება იყო საჭირო, თუმცა ეს საკითხი არ დასმულა... უბრალოდ, აღარაათ საჭირო...

• • •

ოთხმოცდაათიანი წლების შემცირებული საქართველოს ფართო განხილვის საგანი იყო ენის სახელმწიფო პალატის საჭიროების საკითხი. პრესაში, ტელეგვიზიაში, ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომებზე მსჯელობდნენ ამ თემაზე და გადაწყვდა: 1997 წლიდან შექმნილიყო ენის სახელმწიფო პალატა. პალატის მუშაობის ანგარიში რამდენჯერმე გამოქვეყნდა. ვერ ვიტყვი, რომ იგი ისე მუშაობდა, როგორც წარმომედგინა მისი საქმიანობა, მაგრამ არაერთი სასიკეთო საქმე მაინც გაკეთდა. პალატას რომ ნორმალური საკანონმდებლო ბაზა პქონოდა, უკეთესი შედეგები გვექნებოდა. ბევრი იომა თავად პალატამ ენის კანონის შექმნისა და მიღებისათვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდა... და 2004 წელს

ენის სახელმწიფო პალატა განათლების სამინისტროს დაუქვემდებარეს. წერდა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე: ეს პალატა პრეზიდენტის ან პარლამენტის დაქვემდებარებაში უნდა იყოს. არც მისი შეისმინეს და დავიწროვდა პალატის ფუნქციები. ესეც არ აკმარეს: პალატის თავმჯდომარესთან, ლ. ღვინჯილიასთან, ვერ ვითანამშრომლებთო და გადადგომა მოხსოვებს. ლ. ღვინჯილია ნებით რომ არ წავიდა თანამდებობიდან, პალატა გააუქმეს! მსგავს ფაქტს მე მეორეს არ ვიცნობ! დაგვაიმედა მინისტრმა კ. ლომაიამ: ენის სახელმწიფო პალატის ნაცვლად სახელმწიფო ენის პალატას შევქმნით და მას ისტორიკოსი (!) ბ. ჯავახია უხელმძღვანელებსო. ეს არ არის სიტყვათა თამაში. განათლების სამინისტროში შეიქმნება სამსახური, რომელმაც სახელმწიფო ენის სწავლებას უნდა მიაქციოს ყურადღება არაქართველ მოსახლეობაში. ეს საჭირო საქმეა, მაგრამ სრულიად განსხვავებულია იმისაგან, რასაც ენის პალატა ისახავდა მიზნად...

მოკლედ ენის სახელმწიფო პალატაც წარსულს ჩაბარდა 2004 წელს...

• • •

2004 წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემცირდა საათები ქართულ ენაში. როცა ამ საკითხით დავინტერესდით, გვითხრეს: საათები სხვა საგნებშიც შემცირდათ, თითქოს ეს შედაგათი ყოფილიყოს ქართულისათვის. ქართულ ენაში საათების შემცირება გვესახება ჩვენ მოუტეველ შეცდომად იმ დროს, როცა საქვეყნოდ განვაშლს ტესს განათლების სამინისტრო, ჩვენი მოსწავლეების ნახევარმა მეოთხე კლასში წერა-კითხვა არ იცისო... მიმოვისედოთ ირგვლივ; მოვუსმინოთ რადიოსა თუ ტელევიზიას, წავიკითხოთ მომრავლებული ჟურნალ-გაზეთები და ისე შევაფასოთ სკოლებში ქართული ენის საათების შემცირების ფაქტი... გვავიწყდება ისიც, რომ ქართული ენა არის რიგითი საგა-

ნი, იგი საგანთ-საგანია, სწავლების ენაა, სახელმწიფო ენაა და ამიტომაც მისი გათანაბრება სხვა საგნებთან სახელმწიფოებრივი დონის შეცდომაა.

• • •

2004 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. სწავლების ენის საკითხი კანონპოვექტის განხილვის პერიოდში სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა. შემოთავაზებული ვარიანტი მიუღებლად მიგვაჩნდა. თთქმის კანონშემოქმედები კომისიისზე წავიდნენ და მე-4 მუხლმა კანონში ასეთი სახე მიიღო: „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული, სოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური. (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო სელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან)“. ფრჩილების დანიშნულება ამ შემთხვევაში არ მეშინს, მაგრამ ეს არ არის არსებითი. მივაქციოთ ყურადღება: а) ქართულ უმაღლეს სასწავლებელში ინდივიდუალური სასწავლო კურსები შეიძლება წაკითხული იქნეს არაქართულ ენაზე; б) რაიმე სახის საერთაშორისო სელშეკრულება თუ გაითვალისწინებს, სწავლება შეიძლება იყოს არაქართულ ენაზე და გ) თუ შეათანხმებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სწავლება შეიძლება იყოს არაქართულ ენაზე! ამ შემთხვევაში რაღას ნიშავს „სწავლება ენა არის ქართული“?

• • •

2004 წელს პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონი ზოგადი განათლების შესახებ. სწავლების ენას მე-4 მუხლი შექმნება:

„1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენაა ქართული, სოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მშობლიური ენა არ არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა (ე. ი. ქართული ან აფხაზური – გ. გ.), სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, სასკოლო სასწავლი გეგმაში შეიტანოს მოსწავლის მშობლიური ენის, ან მშობლიურ ენაზე სწავლების პროცენტიაშია არსებული დაფინანსებისა და ეროვნული სასწავლი გეგმების ფარგლებში“.

რბილად რომ ვთქვათ, მეორე პუნქტი უცნაურია. ქართულ სკოლაში თუნდაც ერთმა არაქართველმა შეიძლება მოითხოვოს თავისი მშობლიური ენის შესწავლა, ან თავის მშობლიურ ენაზე სწავლება „არსებული დაფინანსებისა და ეროვნული სასწავლი გეგმების ფარგლებში“... მეორე პუნქტის ასეთი სახით წარმოდგენა მით უფრო გაუგებარი იქნება, თუ გავითვალისწინებთ შესამე პუნქტს: „საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეკომენდაციით სახელმწიფო უქმნის პირობებს ისეთი დაწესებითი, საბაზო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ან მისი სექტორის შესაქმნელად, სადაც სწავლება ხორციელდება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლი გეგმების შესაბამისად...“

მოკლედ: მეორე პუნქტის საფუძველზე კონკრეტულ შემთხვევაში პირველი პუნქტი ძალის კარგავს – სწავლების ენაზ აღარ არის ქართული!...

• • •

საქართველოს რადიოში იყო გადაცემა „ენაი შემკული და კურთხეული“ (ავტორი მწერალი თ. ხმალაძე), რომელიც 1992 წლიდან მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ქართული ენის ხიწმინდის დაცვას, მისი ნორმების პოპულარიზაციას და, ზოგადად, ქართულ ენასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების

გაშუქებას... ეს გადაცემა დაიხურა – მოძველდათ; ენაზე საუბარი აღარაპო საჭირო...

საქართველოს ტელევიზიაში იყო გადაცემები „ენა დედაა ერისა“ და „ჩვენი ენა ქართული“. თუ რამდენად საჭირო და სასარგებლო გადაცემები იყო, ამაზე საუბარიც კი ზედმეტად მეჩვენება. ვეღარ დავაფინანსებთო და ორივე დაიხურა... რა სახის გადაცემებს აფინანსებენ და აჩვენებენ, ეს ყველამ ვა-ცით... უბრალოდ, ქართული ენაა ზედმეტი რადიო-ტელევიზიის მესვეურთათვის...

• • •

დაბოლოს:

2004 წლის 7 მარტს ტელეიმედის გადაცემაში „ნადიმი ჯანრი კაშიასთან“ ერთ-ერთი სტუმარი იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი გიორგი გაჩეჩილაძე. ჯანრი კაშიას კითხვაზე – რა არის ერი – მან ასეთი პასუხი გახცა (ბოდიშს მოვიხდი, სიტყვასიტყვით თუ ვერ გადმოვცემ, აზრი კი ეს იყო):

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ – ეს პოეტური ფანტაზიაა. ერის არსებითი ნიშანი არ არისთ ენა. ირლანდიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მაგალითები მოიშველია ამ აზრის დასასაბუთებლად.... კი, გადაცემის სხვა მონაწილეებ არ გაიზიარა ეს აზრი, მაგრამ გ. გაჩეჩილაძე მტკიცებ იცავდა თავის პოზიციას: ერის არსებობისთვის ენას არა აქვთ მნიშვნელობა...“

ჯერ ერთი, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ – ეს რომ მნილოდ ლამბაზი პოეტური ფრაზა არ არის და ჭეშმარიტებაა, ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ისტორიიდან; არაერთ ერსა და ენას აუხდა ეს ჭეშმარიტება... მეორეც, თუ რეალობას გავითვალისწინებთ, ერისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება არაა უივერსალური მოვლენა; ენა ჩვენი ეროვნულობის უმთავრესი ბურჯია... თუმცა ეს ვრცელი თემაა და ამჯერად აქ შევწყვეტ საუბარს... დავთიქრდეთ კი ამაზე...“

და დავფიქრდეთ იმაზეც, რატომ დასვა ეს საკითხი გიორგი გაჩეჩილაძემ დღეს... ზემოჩამოთვლილ ფაქტებსა და ამ განცხადებას შორის ხომ არ არის პირდაპირი კავშირი?... ღმერთშა ქნას, მე ვცდებოდე.

• • •

საკითხი მძიმე სურათი დაიხატა... რაც მოგახსენეთ, ამ ფაქტების გეერდიგვერდ დალაგება, მერწმუნეთ, არ იყო იოლი ჩემთვის; შემზარავა სრული სურათის გააზრება; მე არც იმგვარად ვფიქრობ, ალექსანდრე ჭავჭავაძე რომ ამბობდა:

„მე ამას ვხტირი,

განაწირი, ვაკ, თუ ვესწრა ვერ,

თვარალა ჟამი, გულთ მაამი,

კვლამცა იქნების!“...

„გულთმაამი ჟამი“ ჩვენ უნდა მოვიყვანოთ!... უპირველესად უნდა აღდგეს ქართული ენის სახელმწიფო კომისია. საქართველოს პირველი (ან მეორე, მესამე...) პირი უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ კომისიას. კომისიის პრესტიულობისა და ძალისთვის ეს აუცილებელია. ამ კომისიამ უნდა განსაზღვროს და გაატაროს ქვეყნისათვის საჭირო და შესაფერისი ენობრივი პოლიტიკა.

უნდა შეიცვალოს (უფრო სწორად, შემუშავდეს) კომისიის დებულება; შეიქმნას სამუშაო აპარატი და მიეცეს კომისიის საქმიანობას სერიოზული ხასიათი. ამ კომისიამ უნდა განსაზღვროს, რა პრობლემებია მოხადვარებელი და როგორ; კიდევ რა სტრუქტურა თუ სამსახურია საჭირო დედაენის ინტერესთა დასაცავად...

და ეს საქმე არ უნდა გადაიდოს. ახლოვდება 14 აპრილი – ქართული ენის დღე. გავიხსენოთ ისიც, რომ ეს არ არის საზეიმო დღე. ეს ანგარიშგების დღეა – წლის მანძილზე რა გაკეთდა დედაენის სასიკეთოდ, ეს უნდა მოვახსენოთ ქვეყანას. დავიწყოთ 2005 წლის 14 აპრილიდან – შეგქმნათ ქართული ენის სახელმწიფო კომისია და შემდგომ ყოველწლიურად ანგა-

რიში ჩავაბაროთ საქართველოსა და ქართველ ხალხს, როგორ ვპატირონობთ ქართულ ენას!...

ვიმეორებ: ყოველი დაკარგული დღე მოსაგვარებელ პრობლემებს გაგვიმრავლებს... ყოველდღიურად შეიძლება იმდენი რამ წახდეს, წლები რომ დასჭირდება გამოსახურებლად...

ჩვენ იმედით ვუყურებთ ქართული ენის ხვალინდელ დღეს!
თქვენ?

„საქართველოს რესპუბლიკა“
11 მარტი, 2005 წ.

არსებობს თუ არა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, ანუ „რა შემსაბამება სიცამდვილეს“

ქართული ენის წინაშე მდგარი სადღესით პრობლემების შესახებ ვხაუბრობდით ჩვენს წერილში, რომელიც გატერ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყვნეთ 2005 წლის 11 მარტს. ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის თაობაზე ვწერდით: „1995 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის მუდმივი (!) სახელმწიფო კომისია... ვერ ვიტყვით, რომ ამ კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა. რამდენიმე ფორმალური სხდომა გაიმართა (ძირითადად სათოთხმეტაპრილოდ და წინასაარჩევნო პერიოდებში...) და 2004 წლიდან ეს კომისია აღარ არსებობს“. იმავე გაზეთში 15 მარტს გამოქვეყნდა რეპლიკა, რომელშიც ვკითხულობთ: „გ. გოგოლაშვილის წერილში „ბედი ქართული ენისა მესამე ათასწლეულის კარიბჭეთან“ მოყვანილი ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივოქმედი კომისიის გაუქმების შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება“. რეპლიკას ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე აწერდა ხელს. ცხადია, იგი უკეთ ფლობს ინფორმაციას, გამოიცა თუ არა რაიმე სამართლებრივი აქტი ამ კომისიის გაუქმების თაობაზე; მაგრამ დღეს რეალურად არსებობს კი ეს კომისია?

„გარდების რევოლუციამდე“ ამ კომისიის თავმჯდომარე იყო საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე; კომისიაში შეცნიერებისა და მწერლების გარდა შედიოდნენ იმდროინდელი მთავრობისა და ხელისუფლების წევრები, მათთან დაახლოებული პირები, საზოგადო მოღვაწეები, რომელთა უმრავლესობა აღარაა თანამდებობის პირი.... ცხადია, ამ შემადგენლობით (თავმჯდომარით დაწყებული...) კომისია აღარ არსებობს; „გარდების რევოლუციის“

შემდგომ აღარც განახლებულა. ამიტომ კითხვას – არსებობს თუ არა ეს კომისია – ერთადერთი პასუხი აქვს: – არა!

მაგრამ კითხვა უფრო მწვავედაც შეიძლება დაისვას: არხებობდა კი ასეთი კომისია რეალურად?

სავალიალო პასუხი აქვს ამ კითხვას: ეს კომისია დღიდან მისი დაარსებისა იყო ფორმალური კომისია, არაქმედითი... ქადალდზე არსებობდა მხოლოდ... მოდით, ფაქტები გავისხეოთ და შემდეგ თქვან, რომ ჩემგან მოწოდებული ინფორმაცია „არ შეესაბამება სინამდვილეს“.

• • •

1995 წლის 27 იანვარს სახელმწიფოს მეთაურის, ე. შეგარდნაძის, განკარგულებით შეიქმნა ქართული ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია. მინისტრთა კაბინეტს დაევალა, ერთი თვის ვადაში დაემტკიცებინა ამ კომისის წევრთა შემადგელობა; სოლო ახლადშექმნილ კომისიას ორი თვის ვადაში უნდა წარმოედგინა და სხდომაზე დაემტკიცებინათ კომისიის დებულება. ამ მუდმივმოქმედი კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა 22 ოქტომბერს (არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე!)... დებულების მიხედვით კი კომისიის სხდომები უნდა გამართულიყო თვეში ერთხელ... ასე დასრულდა კომისიის არსებობის პირველი წელი...

შემდგომი სხდომა გაიმართა 1996 წლის 5 ივნისს. სხდომაზე განიხილებოდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი და ფუნქციონირების მაკონტროლებელი ქვეკომისიების შექმნის საკითხი (ასეთი კომისიები არ შექმნილა). ამავე სხდომაზე დაისვა ენის პალატის შექმნის საკითხი... ამით დასრულდა კომისიის მუშაობის მეორე წელი...

1997 წლის 24 იანვარს პრეზიდენტის ბრძანებით შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატა „სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის, ენობრივ ურთიერთობათა სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო

ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საქმიანობის უკეთ ორგანიზების მიზნით“. ამ წელს ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომა გაიმართა პარილში. განიხილებოდა ქართული ენის პროგრამის ლექსიკოლოგიური ნაწილი. გადაწყდა, განმეორებით გამოცემულიყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და დაარსებულიყო გაზეთი „ქართული ენა“... არც ეს გადაწყვეტილებები შესრულებულა... არ უშველა პალატის შექმნამაც... (გავითვალისწინოთ ისიც, რომ პალატა უკვე გაუქმებულია...)...

1998 წელს სხდომა გაიმართა 4 მარტს: განიხილეს ქართული ენის ლექსიკის მანქანური ფონდის შექმნისა და ტერმინოლოგიური საქმიანობის კოორდინაციის საკითხები (რაც ვერ შესრულდა...) და იყო მსჯელობა ენის კანონის პროექტის წინასწარ ვარიანტზე. თვით კანონის პროექტი სხდომის დღეს დარიგდა. ამიტომ მისი დეტალური განხილვა იმჯერად ვერ მოხერხდა. ასე დასრულდა კომისიის მუშაობის მორიგი წელიც...

1999, 2000 და 2001 წლებშიც თითო სხდომა ჩატარდა პარილში (სათოთხმეტაპრილოდ). სამივე სხდომაზე ენის კანონის პროექტები განიხილებოდა. ეს იყო ძირითადი საკითხი ამ სხდომებისა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ 2001 წლის 12 აპრილის სხდომის შემდეგ ენის კანონის პროექტი პარლამენტს გადაეცა განხილველად და ეს პროექტი ჩავარდა, შეიძლება ითქვას, რომ ამ წლების მუშაობამაც უშედეგოდ ჩაიარა...

ე. შევარდნაძის თავმჯდომარეობით ბოლო სხდომა გაიმართა 2002 წლის ნოემბერში (უნდა გამართულიყო მაისში, დარიგდა კიდეც მასალები, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით გადაიდო). ამ სხდომაზე მიღებული იქნა სამი ენობრივი ნორმა (ერთადერთი დადებითი შედეგი მრავალწლიანი საქმიანობისა...); მოიხმინეს ა. არაბულის ვრცელი მოხსენება ქართული ენის სწავლებაში არ-სებული პრობლემების თაობაზე და შ. აფრიდონიძისა – პრესის ენასთან დაკავშირებულ საჭირობოროტო საკითხებზე. ამ მოხსენებებს არანაირი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია...

2002 წლის 28 ნოემბრის შემდეგ ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომა აღარ ჩატარებულა! არადა, ვიმეორებს, დებულების მიხედვით თვეში ერთხელ უნდა გამართულიყო...

მედავებიან, ეს კომისია ისევ არსებობსო!... პქვია ამ კომისიის არსებობას არსებობა? როგორც ჩანს, მე და ჩემს ოპონენტს სხვადასხვაგვარად გვესმის ამ სიტყვის („არსებობს“) არსი... ამიტომაც ვთვლი, რომ ქართული ენის სახელმწიფო კომისია არც მაშინ არსებობდა, როცა წელიწადში ერთხელ, წინასაარჩევნოდ თუ სათოთხმეტაპრილოდ, მართავდა სხდომებს....

• • •

როგორც რეპლიკის ავტორი ბრძანებს, „ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მისი (ე. ი. კომისიის – გ. გ.) რეორგანიზაციისა, ახალი დებულებისა და სამოქმედო გეგმის პროექტებზე“.

ჯერ ერთი, მე ასე მესმის: არარსებულის რეორგანიზაცია არ შეიძლება; არარსებული უნდა შეიქმნას! მეორეც: მალიან კარგი, თუ ფიქრობენ ახალი კომისიის შექმნაზე, მისი დებულებისა და სამოქმედო გეგმის შედგენაზე. სწორედ ამას ვითხოვდი ჩვენც ჩვენს წერილში: მეტიც – ამ თემაზე არაერთი სხვა პუბლიკაციაც გვქონდა 2004-2005 წლებში... და თუ ეს გაკეთდება რიგიანად, ამაზე დიდი ბედნიერება რა იქნება!...

ერთს კი ვიტყოდი: რადგანაც „მიმდინარეობს მუშაობა“, ისევ ის შედეგი რომ არ მივიღოთ, კომისია სარიოზულად უნდა დაკომპლექტდეს და არა – პოლიტიკური ნიშნითა და პირადი სიმპათია-ანტიპათიის გათვალისწინებით... თუნდაც ერთი მაგალითი: წინა კომისიაში არ შეიყვნებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრათ გამგეები, ცნობილი სპეციალისტები, პროფ. კორნელი დანელია, პროფ. ზურაბ სარჯველაძე, პროფ. ელენე ბაბუნაშვილი (ეს უკანასკნელი იყო და ამოიღეს სიიდან...)... ამ დროს ვინ აღარ იყო კომისიის წევრი... ამგვარად შედგენილი კომისია არ შეიძლება ქმედითუნარიანი იყოს... არადა, უამრავი საქმეა საკეთებელი...

„ახალი დებულებისა და სამოქმედო გეგმის პროექტებზე“ ვმუშაობთო, ბრძანებს თპონენტი. მოხდება თუ არა ამ პროექტების განხილვა სპეციალისტთა მიერ? რამდენ სანს გაგრძელდება ეს „მუშაობა?“ გავიხსენოთ: ორწელიწადნახევარია კომისია ფორმალურადაც აღარ არსებობს...

ჩვენს ზემოდასახელებულ წერილში ქართულ ენაზე თავსჩენილი უბედურების მრავალი ფაქტი დავასახელე ყოველი მათგანი „არსებული კომისიის“ მსჯელობის საგანი უნდა ყოფილიყო. არადა, საქმე ფუჭდება...

10 წლის წინათ ითქვა, ტერმინოლოგიური მუშაობის კოორდინაცია უნდა მოხდესთ. ამის საჭიროება მწვავედ იგრძნობა... და სხვა... და სხვა...

ახე რომ, მე გულისტკიფილით ვწერდი, ქართული ენის სახელმწიფო კომისია აღარ არსებობს-მეთქი. ვიფიქრე, კოლეგები, ქართული ენის ქომაგები, დედაქანის გულშემატკივრები მსარს დამაჭერენ და საქმე გაკეთდება-მეთქი... სამწუხაროდ, ცრუ ინფორმაციის მოწოდებაში დამდეს ბრალი, დამცველად ძველ მთავრობისეულ კომისიას დაუდგნენ და ამით ახალი კომისის „კონტურებიც მოხაზუ“... ამან შემაშფოთა, თორემ რეპლიკისათვის შეიძლებოდა არც მეპასუხა...

არადა, დრო ულმობლად გარბის დედაენის სახიკეთო საქმეთა საზიანოდ... ვწერდი წინა წერილში: „ყოველი დაქარგული დღე მოსაგვარებელ პრობლემებს გაგვიმრავლებს... ყოველდღიურად შეიძლება იმდენი რამ წახდეს, წლები რომ დასჭირდება გამოსახწორებლად...“

ჩვენ იმედით ვუყურებთ ქართული ენის სვალინდელ დღეს! თქვენ?

„საქართველოს რესპუბლიკა“
30 მარტი, 2005 წ.

დიახ, პირველგებზ ასე დაურიცმორებული

ღია წერილი ბატონ თტია იოსელიანს

ეროვნულ ენას ქარი საიდანაც მოუბერავს,
იქით უნდა ჩამოეფარო.

თტია იოსელიანი

ბატონო თტია,

ჩემდა სამწუხაროდ, პირადად არ გიცნობთ. რამდენჯერმე
დაგაბირეთ თქვენთან სტუმრობა მე და ჩემმა სახლიკაცმა (ვახ-
ტანგ გოგოლაშვილმა), მაგრამ ვერ მოვახერხეთ... ახლა წე-
რილით მინდა შეგეხმიანოთ, ჩამოსვლაც შეიძლებოდა, მაგრამ
თემაა ისეთი, ბატონო თტია, დაი წერილით სჯობს საუბარო.

იქნებ, მკითხონ, რატომ მაინცდამაინც თტია იოსელიანს ეხმია-
ნებით. ამ შეკითხვის დამსმელს ვურჩევდი, ეპიგრაფისთვის მიეკცია
ყურადღება და მერე დინჯად დამბგზავრებოდა ამ წერილში...

ბატონო თტია, ამას წინათ თქვენი წიგნი გადმომცეს – „ხი-
შორით სიახლოეს“ – ასეთი წარწერით:

ბატონ გიორგი გოგოლაშვილს!

არ გიგარებეთ ჩვენ ასე დაშორიშორებული. იმედით:

თტია იოსელიანი

16. 6. 20002

წყალტუბო-გვიშტიბი

გეთანხმებით, ბატონო თტია, მესმის თქვენი გულისტკივილი.
ასე დაშორიშორება, ცალ-ცალკე ყოფნა ვერ წაიყვანს წინ

ეროვნულ ეტლს (როგორც იაკობი იტყოდა). გათითოკაცებული სიკეთე გერ დამარცხებს აღზევებულ ბოროტებას. როდის იყო, უგნატე ნინოშვილმა რომ დაიჩივლა: „ეი, ჰაი, ბიჭო, სად არის პირი და ერთობა! ჩვენსავე მოძმეულს რომ არ ეღალატა, ვის რა სელი ჰქონდა ჩვენთან! მარა დალატი და უპირობა...“ ეს მარადიული ტკივილია ჩვენი... მაგრამ, ღვთის მადლით, ყოველთვის ხერხდებოდა იმ გათითოკაცებული სიკეთის შეკრება, შეერთება და ქვეყნის სასიკეთო ძალად ქცევა... ახლაც ასე უნდა ვითიქროთ, ამის იმედი უნდა ვიქონიოთ. მოვა დრო, როცა თავგასული ბოროტება უკან დაიწევს, დამარცხდება... მაგრამ ეს სამომავლო ფიქრია...

დღეს კი რა ხდება? რატომ მომესურვა თქვენთან საუბარი? თქვენი ბრძნული რჩევა გვჭირდება. თქვენი მართალი სიტყვაბა საჭირო. ბრძოლაა, ბატონო ოტია, და სარდალი გვჭირდება... ყოველ შემთხვევაში, ის ჯარისკაცი მაინც, რომელიც ფრონტის წინა ხაზზე დადგება და ომასიანი შეძანილით გამოწევებს ჯარს...

ბატონო ოტია, უპირველესად, დედაენის ბედია საფიქრალი. კი, მოგვიწოდეთ, საიდანაც ქარი მოუბერავს, იქიდან ჩამოვეფაროთ, მაგრამ რა ვქნათ დღეს, როცა მრავალმხრივ უბერავს ქარი; საიდან ჩამოვეფაროთ? ვართ კი იმდენი, ყოველმხრივ რომ აღვედგეთ სტიქიონს?

ეს, მაინც, ზოგადი ფრაზებია, კონკრეტულად?

კი, ბატონო, კონკრეტულად ვისაუბროთ.

• • •

ბატონო ოტია, გახსოვთ თქვენც და დაგვემოწმება ჩვენი მქითხველიც, რომ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დამდგენი კომისია. პრესტიულობისათვის და საქმიანი სახისათვის კომისიას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ედგა სათავეში. თქვენც კარგად მოგეხსენებათ და ჩვენს მკითხველსაც, რა საჭირო და სასიკეთო

საქმეები გააკეთა ამ კომისიამ; რა სერიოზულად განიხილებოდა, ერთი შეხედვით, „უმნიშვნელო“ საკითხები, თუნდაც ერთი ტერმინი. მაგალითად, სანგრძლივი და საინტერესო მსჯელობის საგანი იყო ტერმინი „ეკონომიკური“ თუ „ეკონომიკური“... ეს ის დრო იყო, როცა ოპერისა და ბალეტის თეატრშა მომართა ენათმეცნიერების ინსტიტუტს „ზოლუშკა“ როგორ ვთარგმნოთ; ორი დღე იმსჯელა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ და შესთავაზა „კონკია“: დამკვიდრდა კიდეც ეს სახელი... იყო ასეთი დრო, სერიოზულად რომ უდგებოდნენ ასეთ საკითხებს... არსებითი ის იყო, რომ სახელმწიფო ზრუნავდა სახელმწიფო ენაზე...

ვიცი, ბატონო ოტია, ვისაც ჩემი წერილი ემწარება, იტყვის, მისტიკისო კომუნასტურ მთავრობას...

არა, ბატონო, იმ დროს ვნატრობ, როცა ხელისუფლება იფიქრებს სახელმწიფო ენაზე.

ვიძრძოლეთ, ბატონო ოტია, და 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის მუდმივი (!) სახელმწიფო კომისია. პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა მას. კი, ვეთანხმები ჩვენს ოპონენტებს – პრეზიდენტს უამრავი საქმე აქვს და შეიძლება, ვერ მოეცალა ასეთი „წვრილმანი საქმისთვის“, მაგრამ ხომ არსებობდა მოადგილე, ის აპარატი, რომელსაც საქმის კეთება ევალებოდა?... ერთი პარალელი: ბრიტანეთში არსებობს ინგლისურად მოლაპარაკეთი კავშირი, რომელსაც სათავეში ინგლისის დედოფლილი უდგას; მოადგილე ერთ-ერთი ლორდია. ეს არის უაღრესად საქმიანი ორგანიზაცია, რომელსაც 50-ზე მეტ ქვეყანაში აქვს ფილიალი... როგორ ფიქრობთ, ინგლისის დედოფლილი და ის ლორდი ფიქრობს ყოველდღიურად ამ კავშირის ბედზე? არა, ბატონო, ისინი პრესტიჟისათვის არიან ამ კავშირის სათავეში... და საქმე დიდებულად კეთდება. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება...

ჩვენთან რა ხდება: არ სცალიაო პრეზიდენტ შეგარდნაძეს და კომისიის მუშაობა ჩაიშალა (ორი-სამი ფორმალური სხდომის ჩატარებას მუშაობა არ ჰქვია). ხემრობით სათოთხმეტაპრილო კომისიასაც ვუწოდებთ, წინასაარჩევნო კომისიასაც (მაშინ გვანს-სენდებოდა – არ, ასე ვზრუნავთ დედაქაზე და სხა მოგვეცით).

2004 წელს ამ კომისიამ მუშაობა შეწყვიტა. ცუდად მომუშავე კომისიის კარგად ამუშავება იყო საჭირო და არა გაუქმება!...

ეს ერთი შეარეა, საიდანაც ქარმა მოუბერა დედაქას, ბატონო ოტია...

• • •

1995 წლის მოწვევის პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. იმთავითვე გაკვირვება იმან გამოიწვია, რომ ის საპროცედურო კომიტეტთან არსებობდა და არა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან... საკანონმდებლო ორგანოში კომიტეტისა თუ ქვეკომიტეტის ფუნქცია ასე გვეხმის – კანონშემოქმედებითი საქმიანობა უნდა ეწარმოებინა მას. ამ მხრივ სასიკეთო რომ არაფერი გაკეთებულა, ფაქტია. არადა, ვიღაც მუშაობდა, ვიღაც სელფასს იღებდა; დედაქა კი უპატრონობას უჩიოდა... არავის უთქვამს, მოდით, ეს ქვეკომიტეტი ავამოქმედოთ. გააუქმეს ეს ქვეკომიტეტიც. საკანონმდებლო ორგანოში სახელმწიფო ენის ინტერესთა დამცველი ქვეკომიტეტი საჭირო არაათ...

ესეც ერთი შეარეა, საიდანაც ქარმა მოუბერა დედაქას, ბატონო ოტია...

• • •

იყვირა ლეგან დგინჯილიამ, ირბინა, აუტალახა კაბინეტის კარი დიდ კაცებს და 1997 წელს შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატა. განსხვათ, ბატონო ოტია, თქვენც წერდით ერთხელ ამ პალატის თაობაზე, გავიგოთ ყველამ, რა კეთდებათ. თქვენი მაშინდელი გამოსვლა ენის პალატის ქუთაისის განყოფილების

თაგებაცმა ცუდად გაიგო (უფრო სწორად, ვერ გაიგო), მაგრამ ეს არ არის არსებითი (გამგებმა გაიგო!)... შეეძლო ამ პალატას კეთილი საქმეების კეთება, თუ იქნებოდა, ერთი მხრივ, სელშეწყობა სახელმწიფოსგან და, მეორე მხრივ, გონიერული საქმიანობა პალატის სელმძღვანელობის მხრიდან.

2004 წელს ჯერ იყო და ენის პალატა განათლებისა და მეცნიერების სტრუქტურად აქციეს (ამით, ცხადია, მისი ფუნქციები საგრმნობლად დაგინართვებს); მერე იყო და, ლ. ლვინჯილიასთან ვერ ვითანამშრომლებთო, თქვეს სამინისტროში და გათავისუფლების საბაზი რომ ვერ მოუძებნეს, სამსახურის ლიკვიდაცია მოახდინეს. ასე მოიშორეს თავიდან „არასასურველი“ პირი!...

ასეთ რამეზე, ბატონი თტია, შეიძლება ვიზუმროთ, სასაცილოდ რომ გვქონდეს საქმე... არაო, მერე თქვეს, „ენის სახელმწიფო პალატის“ ნაცვლად, „სახელმწიფო ენის პალატას“ შევქმნითო (ე. ი. ქართული ენის პალატას) და ისტორიკოსი უთავებაცებსო მას! ეს არ არის მხოლოდ სიტყვათა თამაში, ეს დაკინიხებაა პალატის ფუნქციებისა... და კიდევ ერთი ნაბიჯი არაპროფესიონალიზმისაკენ... რა გამოვა ამ საქმისგან, აღდგომა და ხვალეო...

ბატონი თტია, ესეც ერთი მსარეა, საიდანაც ქარმა მოუბერა დედაქნას...

• • •

გახსოვთ, რა თქმა უნდა, ბატონი თტია, განათლების სამინსტრომ და პარლამენტის განათლების კომიტეტმა 2004 წლის შემოდგომაზე ერთი ამბავი ატენეს – ჩვენი ახალგაზრდობის ნახევარმა წერა-კითხვა არ იცის; ტესტირება ჩავატარეთ და სავალალო შედეგი მივიღეთ.

პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე იწვევდნენ მაღალჩინოსნები – გეგონებოდათ, უხაროდათ, დიდი რამ აღმოვაჩინეთო... ასეთ შემთხვევაში იწყება ძიება მიზეზებისა (რატომ არ იციან) და იმ გზებისა, საქმეს რომ გამოასწორებს... მე ეს ძიება ვერ

დაგინახე. მოხდა პირიქით – შემცირდა სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის საათები. კითხვაზე, რატომ მოხდა ეს, უცნაურ პასუხს ვიღებთ: სხვა საგნებშიც შემცირდა საათებით... თითქოს, ეს შეღავათი იყოს ქართულისათვის... არადა, ავიწყდებათ, რომ ქართული ენა არ არის რიგითი საგანი; იგი საგანთა საგანია! სწავლების ენაა! და თუ ეს არ ეცოდინებათ კარგად, სწავლების ხარისხზე ნუდარც ვიოცნებებთ...

ესეც ერთი შხარეა, საიდანაც ქარმა მოუბერა დედაენას, ბატონო ოტია!...

• • •

ბატონო ოტია, ადევნებდით, ცხადია, თვალს უმაღლესი განათლების კანონპროექტის შესახებ ატენილ აუთიტაჟს...

ძველ კანონში ასე იყო: „სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე, აფხაზური“ (მუხლი მე-4, პუნქტი 1).

ეს ნაწილი თითქმის უცვლელად შეორდება ახალ კანონპროექტში (არ ჩას მხოლოდ სიტყვა „სახელმწიფო“ – ე. ი. ვრცელდება არასახელმწიფო სასწავლებლებზეც...), მაგრამ... მაგრამ ამას მოსდევს სავალალო გაგრძელება: „სხვა ენაზე სწავლება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და წინასწარად ცნობილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მსურველი პირისათვის“.

მიაცირეთ ყურადღება, ბატონო ოტია! სწავლების ენას სახელმწიფო კი არ განსაზღვრავს, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულება! და ვინც რას ჩაწერს საგანმანათლებლო პროგრამაში, ის იქნება სწავლების ენა. სადღად სახელმწიფო ენა?... ვიბრძოლეთ, ვიყვირეთ და დაგვპირდნენ, კომპრომისზე წაგალთო; ასე ჩავწეროთ: „სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწი-

ნებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან „შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან“. კანონი ჯერ არ მიუღიათ (სანამ ეს წერილი თქვენამდე მოვა, იქნებ, მიღებულიც იყოს, ბატონო ოტია) და რა შეიცვლება და როგორ, კაცმა არ იცის... ისე, ეს კომპრომისი არის კი სასიკეთო კომპრომისი დედაქნისათვის? უარესს რომ სჯობს, ამიტომ კარგია, ვითომ? მეეჭვება...

ამ კანონის მიღების შემთხვევაში, ვერ აღმოჩნდება სახარბი-ელო მდგომარეობაში დედაქნა უმაღლეს სკოლებში.

ესეც ერთი მხარეა, ბატონო ოტია, საიდანაც ქარი მოუბე-რაგს ჩვენს დედაქნას!...

• • •

ბატონო ოტია, ზოგადი განათლების კანონიც არსებობს და იმასაც მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება. აქაც მე-4 მუხლი ენება სწავლების ენას. აქაც ისევე იწყება ეს პუნქტი: სწავლების ენა ქართულია, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური; ამის მერე იწყება, რაც იწყება, ბატონო ოტია: „იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მშობლიური ენა არ არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა, სამეცნიერო საბჭო უფლება-მოსილია, სასკოლო-სასწავლო გეგმაში შეიტანოს მოსწავლის მშობლიური ენის ან მშობლიურ ენაზე სწავლების პროცე-მა, არსებული დაფინანსებისა და სასწავლო ეროვნული გეგ-მის ფარგლებში“. იმას თავი დავანებოთ, კაცი რომ სხვა ენაზე სწავლებას ითხოვს, „ეროვნული გეგმის“ მიშველიება ირონიუ-ლად რომ უდერს... მაგრამ ამ ირონიას წავუყრულო, ამჯერად. კანონპროექტი რას გვიქადის:

ვთქვათ, ბატონო ოტია, თქვენს მშობლიურ სოფელში ჩამოსახ-ლდა მოძმე სომხეთიდან ოჯახი. სასკოლო ასაკის ბავშვი ჰყავს და მიიყვანა გვიშტიბის სკოლაში. უკეთეს შემთხვევაში, აქვს უფლება, მოითხოვოს, სომხური ენა მასწავლებელის უფლება, სხვა შემთხვე-

ვაში – ყველა საგანი მასწავლე სომხურადო!... და „არსებული დაფინანსებისა და სასწავლო ეროვნული გეგმის ფარგლებში“ სკოლის დირექციამ უნდა უზრუნველყოს მისი განათლება მის მშობლიურ ენაზე!...

ეს პუნქტი, ისევე როგორც წინა კანონპროექტის შესაბამისი პუნქტი, კონსტიტუციის მე-8 მუხლს რომ ვერ ეთანხმება, ფაქტია: ვიყვირეთ, ვიდავთ, მაგრამ, გაგიგია? თურმე, ჩვენ ანტიგლობალისტები ვართ, ჩამოვრჩით, იზოლაციისკენ ვუბიძგებთ ერს და მისთანანი... თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო ოტია?...

ვერც ამ კანონის ამ სახით მიღების შემთხვევაში აღმოჩნდება სახარბიელო მდგომარეობაში დედაენა ეროვნულ სკოლაში!...

ესეც ერთი მხარეა, საიდანაც ქარი მოუბერავს ჩვენს დედაენას, ბატონო ოტია!...

• • •

რეკლამის კანონი რომ მივიღეთ და სიამაყით ჩავწერეთ მასში: „რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე“... „უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ფორმას“... „ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი“...

„რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდებათ“, რომ გვიწერენ, გინასავთ დარეგულირებული საკითხები?... ანდა დარღვევისათვის რომ პასუხი მოეკითხოთ?

ესეც ერთი მხარეა, ბატონო ოტია, საიდანაც ქარი უბერავს ჩვენს დედაენას...

• • •

ის სულმნათი გრიგოლ თობელიანი წომ გახსოვთ, ბატონო
ოტია:

„აღმოჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
გაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!...
მათ უწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა
უწმინდურთ სელში!“

საუკუნენახევრის წინათ ნათქვამია ეს. ისტორია მეორდებაო, არ ითქმის ამაზე. უკან მივდივართ, ბატონო ოტია, თანაც, კატასტროფული სიჩქარით!...

ენის წახდება ერის დაცემის რომ მოასწავებს, ეს მავანსა და მავანს ლამაზი პოეტური ფრაზა ჰგონია... არაა, ასე, და თუ არ ვიდონეთ რამე, დავიღუპებით!...

მწერლობა რომ დუმს და ხმას არ იღებს, როგორ გენიშნებათ, ბატონო ოტია!... ახლა – პრესა? ტელევიზია?

ესეც ერთი მხარეა, ბატონო ოტია, დედაენას რომ ქარი დაუბერავს...

• • •

სწაც შეიძლებოდა გვეთქვა, ბატონო ოტია, მაგრამ ესეც საკმარისია დედაენის ბედკრული ყოფის საჩვენებლად...

რომ მოგვიწოდებთ, „ეროვნულ ენას ქარი საიდანაც მოუბერავს, იქიდან უნდა ჩამოეფაროთ“, რა ვქნათ ახლა, ბატონო

ოტია, შეგძლებთ კი ყველა მხრიდან დაცვას დედაენისას? ვე-
ყოფით კა?...

• • •

იცით, რა გამახსენდა, ბატონო ოტია? „დათა თუთაშეია-
ში“ გოგი წულაძე ნანო თავყელიშვილს რომ შეაგულიანებს,
დააყვირებს – „ვიყვიროთ, ქალებოო“; არ აჰყვნენ და თავად
დაიწყებს ყვირილს არისტოკრატი ქალბატონი. იმ უნამუსო ყა-
ჩადას თოფის კონდახი მოზღვდა თავში ნანოს, მაგრამ ყვირილმა
მოიყვანა მშვედელი – დათა თუთაშეია...“

როგორც ჩანს, ცხოვრებისეული სიბრძნეა ამაში, ბატონო
ოტია: უნდა ვიყვიროთ და ვიყოთ იმის იმედზე, რომ შეისმენენ
ჩვენს ყვირილს...“

და ჩადგეს უნდა ქარი, ბატონო ოტია!

დმეუროთმა ნუ ქნას სხვანაირად!...

• • •

და მაინც, არ ვივარგებთ ჩვენ ერთმანეთის გარეშე. ერთად
უნდა დავდგეთ და ყოველი მხრიდან ჩამოვეფაროთ დედაენას.
ქარი თავისით არ ჩადგება. ამას ხელი ჩვენ უნდა შევუწყოთ.
სხვაგვარად მოქცევას არ გვაპატიებს შთამომავლობა.

იმედით...

„თბილისი“, 24-25 დეკემბერი, 2004 წელი

რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?

ღია წერილი საქართველოს პარლამენტის
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს,
ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, ჩვენი ურთიერთდამოებულება მაძლევდა
იმის უფლებას, პრესის საშუალებით კი არ მომემართა თქვენ-
თვის, არამედ პირადად მეთქვა, რის თქმასაც ვაპირებ, მაგრამ
მაინც ასე გადავწყვიტე: ჯერ ერთი, ვერ მოვახერხე თქვენი
ნახვა და დრო კი ულმობლად გარბის ჩვენთვის საინტერესო
საქმის საზიანოდ; წერილი უფრო დროულად მოვა თქვენამდე...
მეორეც: ასეთი სახის მომართვა გამართლებულად მეჩვენება იმი-
ტომაც, რომ ეს არ არის კერძო საკითხი; საზოგადო ჭირზე კი
შეამაღლა საუბარი სჯობს...

ბატონო ნოდარ. მჯერა რომ კარგად გაქვთ გაცნობიერებული
ის პასუხისმგებლობა, რასაც ერისა და ქვეყნის წინაშე თქვენი¹
თანამდებობა გაკისრებთ; ისიც, რა სიკეთის მოტანა შეგიძლიათ
საქვეყნო საქმისათვის თქვენი მოღვაწეობით... ამიტომაც გადა-
ვწყვიტე მომემართა...

• • •

იაკობ გოგებაშვილმა ბრძანა, ეროვნული სკოლა მამულისა,
დედაქვენისა და სარწმუნოების ტოლფასიაო და ამ ოთხ ბურჯს
(მამული, ენა, სარწმუნოება და ეროვნული სკოლა) ემყარება
ჩვენი ეროვნებათ. დარწმუნებული ვარ, ეთანხმებით ამ აზრს.

შესაბამისად, ჩემგან არ გეხწავლებათ, ეროვნული სკოლის პრობლემების სწორად გაგება-გააზრებამ რა სიკეთე შეიძლება მოჰვევაროს ქვეყანას, ანდა არასწორმა დამოკიდებულებამ – რა უბედურება დაგვატეხოს თავს. ეროვნული სკოლის რეფორმაშ შეიძლება ისსხას ერთ, თუ სწორი გზით მიღის ეს რეფორმა და შეიძლება დაიღუპოს ქვეყანა, თუ რეფორმა არასწორი გზით მიემართება...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, სამწუხაროდ, უფრო მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ამ დასკნის უფლებას უმაღლესი განათლების კანონ-პროექტის გაცნობა მაძლევს. რამდენიმე არგუმენტი ამ აზრისა საკომიტეტი განხილვაზეც მოგახსენეთ (2004 წლის 17 ნოემბერს), მაგრამ ჩვენი აზრი არავის შეუწყისარებია. იღიამ ბრძანა ერთხელ, სხვისი აზრის შეწყნარებამდე არ აღვზრდილვართ და, ვით, რომ იღიასდროინდელი შეფასება დღესაც ძალაშია...

ამიტომაც კვლავ მინდა, ორიოდე საკითხს მივაძყრო თქვენი ყურადღება (ყველა პრობლემას ამ დროის წერილში, ცხადია, ვერ შევეხებით).

• • •

ბატონო ნოდარ, თქვენ არაერთხელ აღგინიშნავთ სიამაყით, რომ 1978 წლის 14 აპრილის დიდმიშვნელოვანი მოვლენის ჩვენდა სასიკეთოდ წარმართვაში პირადად თქვენი და თქვენი მეგობრების წვლილი დიდი იყო. გეთანხმებით; ეს ასეა და მეც ვარ ამის მოწმე, მაგრამ... მაგრამ თქვენსავე მონაპოვარს (ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი შევინარჩუნეთ!), სამწუხაროდ, თქვენივე მხარდაჭერით ვთმობთ, ვკარგავთ...

მოდით, გავიაზროთ:

უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის მე-4 მუხლში წერია: „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწაფლების ენაა ქართული“... ეს კონსტიტუციური ნორმაა... მაგრამ

იქვე წერია: „სხვა ენაზე სწავლება დაშეებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და წინასწარაა ცნობილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მსურველი პირისათვის“. მოგეხსენებათ, საგანმანათლებლო პროგრამას ადგენს თავად უმაღლესი სასწავლებელი და თუ იმ პროგრამაში ჩაწერენ, რომ სწავლების ენა არისო რომელიმე უცხო ენა, ცხადია, მაშინ სწავლების ენა აღარ იქნება ქართული! ე. ი. სასწავლებლის ნება-სურვილის მიხედვით, სახელმწიფო ენის ადგილს იქერს ნებისმიერი უცხო ენა! ვთქვათ და ბევრმა, ანდა ყველამ მოისურვა საგანმანათლებლო პროგრამაში ამის ჩაწერა, სადღაა მაშინ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ადგილი? კონსტიტუციით მინიჭებული უფლება? ამგვარ სასწავლებელში ქართულს უფლებებს ვართმევთ და ამას ვაკანონებს კიდეც!..

პროფოკაციული იყო შეკითხვა-შენიშვნები, რომლებიც გაიხმა საკომიტეტო განსილვაზე ჩემი გამოსვლის დროს: თითქოს, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ უცხო ენების სწავლებისა და მისთანანი. განვმარტავთ: ჩვენ წინააღმდეგნი ვართ (და აქ ერთად უნდა ვიღეთ ყველანი) რომ უცხო ენამ დაიჭიროს ქართული ენის ადგილის უცხო ენას თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ, ქართულს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. კვლავ გავისხმოთ იაკობი: „საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კეგრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“. არა მგონია, არ ეთანხმებოდეთ ამ შევონებას, მაგრამ მხარს უჭერთ კანონპროექტის მე-4 მუხლს, რომელიც ეროვნულ ეტლში უცხო ენის შებმას გულისხმობს, რაც, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არ ეთანხმება ჩვენს ეროვნულ ინტერესს!..

თქვენ, ქართველმა მწერალმა, მეცნიერმა, პედაგოგმა, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტმა (და მე პატივს გცემ თქვენში ყოველივე ამას) არ უნდა ვიტვიროთ ის მძიმე

ტვირთი, რასაც უმაღლეს სკოლაში ქართული ენის უფლებების შელახვა ჰქვია... იოლად შეიძლება ამ საქმის მოვლა, თუ...

შიში ნუ გაქვსო, ქართულს არაფერი ემუქრებაო, მიბრძანეთ საკომიტეტო მოსმენაზე. ჩემი შიში თუ უშიშრობა აქ არაფერ შეაშია: დედაგინის ლირსების, მისი უფლებების დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია; მით უმეტეს, თუ მაღალი თანამდებობაც გვიწყობს ხელს...

ბატონო ნოდარ, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ მგონია, რომ ეს არ არის შემთხვევითი ფაქტი. თვალი გაფადევნოთ ამ ჩამონათვალს:

გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;

აარღამენტში გაუქმდა ქართული ენის ქვემოვატეტი;

გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;

შემცირდა სკოლებში ქართული ენის საათებია;

და აქვე მოვიაზროთ განათლების კანონპროექტებში ქართული ენის საკითხი...

შემთხვევითად ეს ყოველივე? თქვენ, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, როგორ ფიქრობთ?

მიქირს გაფიქრებაც კი, მაგრამ ეს ენის წახდენის გზაა, ერის დაცემის რომ მოახწავება... ნუ დათმობთ, ბატონო ნოდარ, თქვენსავე მოპოვებულ სიკეთეს და აღუდექით წინ ყოველივე იმას, რაც ხდება!...

• • •

ბატონო ნოდარ, ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ უმაღლესი სახწავლებლის ავტონომიაზე. კანონპროექტის ავტორები გვიკიუინებენ, რომ, რაც დღემდე არსებობდა, არ იყოთ ავტონომია; ახლა ნამდვილი ავტონომია ექნებაო უნივერსიტეტს... კი, ბატონო, მინისტრის წარდგენით, პრეზიდენტი ამტკიცებდა რექტორს და არ იყო ეს სრული ავტონომია, მაგრამ, რასაც

ეს კანონპროექტი გვთავაზობს, ნამდვილი ავტონომიაა? ვინ ახ-დენს სტუდენტთა შერჩევას, ვინ აკომპლექტებს უნივერსიტეტს (საკითხი არ ესება მხოლოდ გამოცდების ჩატარებას)? გავიხსენთ, რა უფლებები აქვს სამინისტროს (მე-7 მუხლი); თუნდაც გარდამავალ დებულებათა ის პუნქტი, რომელიც კანონის ძალაში შესვლისთანავე რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტასა და დროებითი მმართველის დანიშვნას გულისხმობს... ესაა სრული ავტონომია?... ვინ არის ის მმართველი და რა აუცილებლობა არის მისი შემოყვანისა? ხომ არ დევს აქ რაღაც სხვა (ფარული) ინტერესი კანონმდებლისა? ითქვა ამაზე, დაიწერა, მაგრამ არც საპირისპირო არგუმენტის მოყვანა უცდია ვინმეს? თქვენც ფიქრობთ, რომ ესაა ნამდვილი ავტონომია?

• • •

სად წავიდა კათედრა? ვინ არის კათედრის გამგე – აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი? ეს არ არის სახსევათა-შორისო კითხვა. მოგეხსენებათ, კათედრა აქამდე იყო ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული; ფაკულტეტი ვერ ჩაენაცვლება მას. რა შედეგს მოგვცემს ეს მეცნიერული თუ პედაგოგიური ოფალსაზრისით? რას ემსახურება ამგვარი რეფორმა? ამ კითხვაზე პასუხს თავს არიდებენ; დაიწერა ამის თაობაზე უფრო კომპეტენტურად, საქმის ცოდნით, მაგრამ პასუხის გაცემა არავის უცდია... არ ვიმსჯელოთ და ისე გავიტანოთ ჩვენი – ცუდი პრინციპია, წაყრელება მოგებიანი პოზა შეიძლება იყოს მხოლოდ არაზენებრივ საზოგადოებაში.... იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამგვარი საზოგადოების წევრები არა ვართ...

• • •

საერთაშორისო აღიარებით, უნივერსიტეტი არის განათლებისა და მეცნიერების კერა. ასე იყო აქამდეც. ამ კანონპროექტის მიხედვით, ფაქტობრივად, უმაღლესი სასწავლებელი მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ერთი-ორგან მოხსენიებული

მეცნიერება საქმეს ვერ შგელის. უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე თანამდებობებია... სად გაქრა სამეცნიერო თანამდებობა, სამეცნიერო სარისხი? იყო რამდენიმე ვარიანტში. აღარაა საჭირო? რა მიმართებაა აკადემიურ და სამეცნიერო სარისხებს შორის?... და ასეთი კითხვა მრავლადაა...

თუ ვითვალისწინებთ, რა პრობლემები შეიქმნება 2005 წლის 30 ივნისის შემდეგ, როცა გაუქმდება დებულება და ინსტრუქცია საქართველოში სარისხების მინიჭების წესის შესახებ? რა ელით ასპირანტებს, სარისხის მაძიებლებს? ეს სომ ერთი და ორი კაცი არ არის; ასობით და ათასობით ადამიანის ბედი ჰაერში გამოიკიდება!

არც ამ კითვებზეა პასუხი და ამ კანონპროექტის კანონად ქცევა უამრავ პრობლემას შექმნის ისედაც პრობლემებით დამძიმებულ ჩვენს საზოგადოებაში... იქნებ ამ კუთხითაც დავინახოთ ეს კანონპროექტი და იმ რჩევებს მივუგდოთ ყური, გამოცდილი ადამიანები რომ გვთავაზობენ... სიტყვამ მოიტანა და მინისტრის განცხადება – „ერთი სანტიმეტრითაც, არ დავისევთ უგან“ – ბავშვურ სიჯიუტეს ჰგავს, უარეს სახელს თუ არ დავარქმევთ. ნუ დავდგებით ამ პოზიციაზე...

• • •

ბატონი ნოდარ, თქვენ იცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა გააუქმა კანონი თანამდებობის პირთა ასაკობრივი შეზღუდვის თაობაზე – ეს ადამიანის უფლებების შეღასწავა; ასაკობრივი დისკრიმინაციაა. ყველაფერში ვცდილობთ მიბაძვას და მაინცდამაინც აქ უნდა განვხვავდეთ? ის, რომ აკადემიური თანამდებობისათვის 5 წლის შემდეგ ამოქმედდება ასაკობრივი შეზღუდვის პუნქტი, ვერაფერი შეღავათია. არ გიფიქრიათ იმაზე, 65 წლის ასაკში რომ დაეთხოვათ ჩვენი მასწავლებლები, რამდენი რამ დაგვაკლდებოდა! აკადემიური პერსონალისათვის ასეთი

ზღვრის (65 წელი) დაწესება, არ არის სიკეთის მომტანი. აქ პიროვნების საყითხი არ დგას (თუმცა ესეცაა...), აქ მეცნიერებისა და განათლების ბედზეა ლაპარაკი... არ შეიძლება მხარი დავუჭიროთ იმას, რაც ავად წაადგება ჩვენს განათლებასა და მეცნიერებას...

• • •

ბატონი ნოდარ, თქვენ იცით, რომ 17 ნოემბერს უნივერსიტეტის რამდენიმე თანამშრომელი შევხვდით საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს. ისიც იცით, რომ ძირითადად საუბარი იყო უმაღლესი განათლების კანონპროექტზე. ბატონი პრეზიდენტი დაეთანხმა ჩვენს აზრს, რომ არ შეიძლება უმაღლესი სახწავლებლის დაფინანსება მხოლოდ იმ პრინციპს დაუმყაროს, რაც კანონპროექტშია წარმოდგენილი; რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტს საბაზო დაფინანსება უნდა ჰქონდესო, ბრძანა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა და დაავალა მინისტრს, კლომაიას, გაეთვალისწინებინა ეს აზრი და შესაბამსად აესანა კანონპროექტში. სამწუხაროდ, ასეთი ცვლილება კანონპროექტში არ შესულა! რა ვიფიქროთ? პრეზიდენტმა წაიღო თავისი სიტყვა უკან, თუ მინისტრმა არ შეასრულა პრეზიდენტის დავალება? იქნება, დაგვეხმაროთ ამ საკითხის გარკვევასა და მოგვარებაში...

• • •

ბატონი ნოდარ, ვერც ის გავიგეთ, ასეთი დაჩქარებული ტემპით რატომ ხდება ამ კანონპროექტის განხილვა და მიღება? ანდა, რატომაბ უნივერსიტეტის აზრი არადჩისხაგდები კანონშემოქმედთვის. მაღალჩინოსანმა თქვა, უნივერსიტეტის კრიტიკას ისე ეხვდები, როგორც ქარავანიო(?!); თქვენზე, როგორც უნივერსიტეტელზე, ამ ფრაზაშ როგორ იმოქმედა? იგანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მიმართ სალანძღავ სიტყვებს რომ არ იშურებენ განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნები და ზოგი პანრლამენტარიც, არ უნდა ვიღონოთ რამე? კი, თქვენ ღირსე-

ულად გამოექმაბეთ ამას წინათ თქვენს უნივერსიტეტს, როცა თავისუფლების ინსტიტუტის თავკაცმა უკადრებელი იყადრი, მაგრამ არაა ეს საქმარისი... თუნდაც ამ კანონპროექტის ამ სახით მიღება თქვენივე უნივერსიტეტის შეურაცხყოფა არ არის?... ამ საქმეში მხარდაჭერა, მშობლიური უნივერსიტეტის წინააღმდეგ გალაშქრება არ არის?... და მაინც, უფრო მთავარი: ამ სახით კანონის მიღება ქვეყნის ბედის სასწორზე შეგდებაა. გვაპატიებს კი ამას შთამომავლობა?...

• • •

ისე, ბატონო ნოდარ, ასაკით უფროსი მეგობრის რჩევად მიღეთ და, მე, თქვენს ადგილზე ამ ვნებათადელვის პერიოდში, მივიდოდი მშობლიურ უნივერსიტეტში; შეგწვდებოდი საკუთარ მასწავლებლებსა და კოლეგა-მეგობრებს; მოვისმენდი მათს გულისტკივილს; შეძლებისდაგვარად, გავიზიარებდი მათს აზრს (ანდა განვუმარტავდი, რაში ცდებიან...). ასე გადავუძიდი ამაგს მშობლიურ უნივერსიტეტს... ყოველ შემთხვევაში, მოვერიდებოდი საქვეყნოდ იმათ გვერდით დგომას, ვინც ქართველი ერის სიამაყეს – ქართულ უნივერსიტეტსა და მის ბევრ დირსეულ პროფესორ-მასწავლებელს უდიერად მოიხსენიებენ, შეურაცხყოფენ, ნიშნის მოგებით ესაუბრებიან... მე ასე მოვიქცეოდი... თუმცა, თქვენი საქმისა თქვენ იცით...

სიტყვა გამიგრძელდა და უნდა მაპატიოთ – საკითხია უაღრესად რთული და საინტერესო... იმედს ვიტოვებ, სხვა დროსაც მოგვიწევს ამ თემაზე საუბარი და შედევიც სასურველი იქნება...

პატივისცემით...

„თბილისი“, დეკემბერი, 2004 წელი

ჭართომასშტაბიანი ომი ეპიზოდი ენის ტინააღმდეგ

მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ახლახან „საქართველოს რესპუბლიკაში“ „ქართული აკადემიის“ განცხადება წავიკითხე – „მაღლე შეიძლება რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდები აღარ იყოს“. როგორც ჩანს, შეშფოთებას თბიექტური საფუძველი აქვს.

– გააკეთებენ გითომ ამას? – იკითხავს თბილისტი.
– რა შეუძლიათ ხელს? – კითხვითვე უპასუხებს რეალისტი.
თბილისტს კიდევ აქვს იმედი ჩვენი ხელისუფლებისა, რეალისტს ეს იმედი გადაეწურა. რატომო, იკითხავს საქმეში ჩაუხედავი მკითხველი. მოგანხენებთ:

ქართულის ამოგდება ეროვნული გამოცდების ნუსხიდან არ იქნება არც პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი ღონისძიება ამ ხელისუფლებისა ქართულის საწინააღმდეგოდ მიმართული.

მოდით, თვალი გადავავლოთ ბოლო თოს წელიწადში ჩვენი ხელისუფლების მიერ ქართული ენის წინააღმდეგ გამოცხადებული ომის შედეგებს:

გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც იყო სამართალმექვიდრე 1935 წლიდან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიისა.

საქართველოს პარლამენტში აღარ არსებობს ქართული ენის ქვეკომიტეტი (წინა მოწვევის პარლამენტში იყო).

გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც 1997 წელს შეიქმნა.

აღარად ცოცხალი ენის შესახებ კანონის პროექტი, რომელიც წინა პარლამენტში განიხილებოდა.

არ მუშაობს რეკლამის შესახებ კანონის ის მუხლები, რომლებიც რეკლამის ენას შეეხება.

გაუქმდა ათი წლის ისტორიის მქონე რადიოპროგრამა „ენად შემკული და კურთხეული“.

დასურა ტელეპროგრამები – „ენა დედაა ერისა“ და „ჩვენი ენა ქართული“.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემცირდა ქართული ენის საათები.

უმაღლეს სასწავლებლებში აღარად საფალდებულო საგანი ქართული ენა.

განათლების სისტემაში ქართულის პარალელურად სწავლების ენა გახდა უცნო ენა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორად გახდომისთანავე გ. ხუსამ მინისტრის მითითებით გაუქმდა ქართული ენის ინსტიტუტი (სხვა ინსტიტუტებს არავინ შეხებია). საქალაქო სასამართლომ (თავმჯდომარე ე. ტყეშელაშვილი, მოსამართლე თ. თადაშვილი) ამის თაობაზე სარჩევიც არ მიიღო!...

ამ ფოზე გაიკვირვებს ვინმე ეროვნული გამოცდების ნუსიდან ქართული ენის გამოცდის ამოღებას? – არა მგონია.

განგაშის ზარების დარისხების დროა!...

მოგმართავთ ოქვენ, საქართველოს პრეზიდენტო! რაც მოგახენეთ, ამის თაობაზე არაერთგზის ითქვა და დაიწერა. ქართულ ენას მშეველელი არ გამოუწნდა... პირიქით... როგორ ფიქრობთ,

ბატონი პრეზიდენტო, „სიღარიბედამლეული საქართველო“ იქნება საქართველო, თუ ქართული ენა არ გვექნება.

როგორ ფიქრობთ, „რა ენა წახდეს, ერთც დაუცეს“, ანდა „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“ მსოლოდ ლაშაზი პო-ეტური ფრაზებით თუ ჭეშმარიტება? – ვაი, რომ ჭეშმარიტებაა და არაერთი ერის თავზე ახდა ეს ჭეშმარიტება... აქეთ მიდის ვითომ ჩვენი გზაც?

ბატონი პრეზიდენტო! თოთხმეტი აპრილი ახლოვდება და სა-პარლამენტო არჩევნებიც კარსაა მომდგარი. იქნებ ქართული ენის წინააღმდეგ ლაშქრობის შეთაურნი ისევე ამხილოთ ავკაცობაში, როგორც ამხილეთ განათლების მინისტრი ამას წინათ პედაგო-გებთან შეხვედრაზე... წამხდარ საქმეს გამოხწორება უნდა!...

გვერწმუნეთ, ბატონი პრეზიდენტო, დაყოვნება და გულგრი-ლობა განამტკიცებს აზრს, რომ თქვენ ხართ შემოქმედი ქართულ ენას თავდატეხილი უბედურებისა; ქართული ენის წინააღმდეგ გამოცხადებული ომის მთავარსარდალი!

დიდი სურვილი მაქვს, ოპტიმისტის იმედები გამართლდეს, მაგრამ ეს თქვენზეა დამოკიდებული, ბატონი პრეზიდენტო!...

„საქართველოს რესპუბლიკა“,

18 მარტი, 2008 წელი

დედამიწის ზრუნვა ბოლშევიკებისაგან უნდა ვისტავლოთ...

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელშიც ეწერა: „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“: სამწუხაროდ, დემოკრატიულ საქართველოს დიდი დღე აღარ ეწერა: 4 დღის შემდეგ, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთმა მთახდინა საქართველოს ანექსია: „საქართველო გასაბჭოვდა“ – მოვიდა ყველაზე არაეროვნული ხელისუფლება... ბოლშევიკური საქართველოს კონსტიტუცია 1922 წელს მიიღეს და ქართულს სახელმწიფო ენად ეს კონსტიტუციაც აცხადებს: „საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა. ყველა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა რეზიდენციად – ქ. ტფილისი.“

აյ ყურადღებას მივაქცევთ სიტყვას ითვლება. ეს არ არის კონსტიტუციის ენა: ჩვეულებრივ წერენ: „სახელმწიფო ენა არის“... წერია: „სახელმწიფო ენად ითვლება“... ვფიქრობთ, აյ მინიშნება უნდა იყოს სწორედ წინა კონსტიტუციაზე; სიტყვა ითვლება იგულისხმება ასევე დედაქალაქთან დაკავშირებითაც ამ მუხლშიც. გააზრება ასეთი უნდა იყოს: დედაქალაქი იყო და იქნება თბილისი; სახელმწიფო ენა იყო და იქნება ქართული. ბოლშევიკები აგრძელებენ დემოკრატიული საქართველოს მიერ დაწესებულ ტრადიციას, რომელიც ისტორიული რეალობის ასახვა იყო...

რა გვაძლევს ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს?

ბოლშევიკური ხელისუფლება თავისი კონსტიტუციის მიღება-მდე ქართულს სახელმწიფო ენად მიიჩნევს და ზრუნავს მის

მოვლა-პატრონობაზე... ჩვენ ხელთა გვაქვს რეგვომის ერთი ასეთი ბრძანება: „სახელმწიფო ენა საქართველოში“. ბრძანება გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ ბოლშევკური კონსტიტუციის მიღებამდე, ბოლშევკების შემოსვლიდან ერთ თვეში. მოვიყვანთ ამ საინტერესო დოკუმენტის სრულ ტექსტს:

„მიუხედავად რევგომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკად აასრულონ ეს ბრძანება. ქალაქ თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ: იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთი დაწესებულებიდან.

რევგომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად არსელებულ იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია შშრომელთა უფლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკევის მოსპობას, არამედ თავის მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს შშრომელთა სრული თვითგამორკევება.

უკანასკნელ დროს, გამოჩნდნენ პროვოკატორები, რომლებიც შლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ სახჯელს.

რევგომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვოკაციული მოქმედებისათვის, რომელიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკად იქნებიან დასჯილნი“. ბრძანებულება გამოქვეყნდა 1922 წლის მარტის ბოლოს „კომუნისტის“ მე-11 ნომერში. ყურადღებას მივაქცევთ იმასაც, რომ ეს არ არის ამ თემაზე პირველი ბრძანებულებაო!..

ასე იწყებდნენ ბოლშევკიები ზრუნვას ქართულ ენაზე. სიტყვას ზრუნვა აյ პირდაპირი მნიშვნელობით ვხმარობ. ვინც იცის ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, დამეთანხმება. 20-იანი წლებიდან მოყოლებული იქმნებოდა და მუშაობდა ტერმინოლოგიური კომისიები, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია... კვლევითი ინსტიტუტები, უმაღლესი სახწავლებლები და მისი ქართული ენის კათედრები... და ეს არ იყო ფორმალური, ეს იყო, ამ თვალსაზრისით, დიდად ნაყოფიერი სამოცდაათწლიანი კომუნისტური ეპოქა...

1978 წლის 14-მა აპრილმა, როგორც ჩანს, ხელისუფლება დააფიქრა იმაზე, რომ საჭიროა მეტი ყურადღების გამოჩენა დედაქანისადმი და ამ თარიღის წლისთავზე, 1979 წლის 10 აპრილს, მიღებული იქნა საქართველოს კომპარტიის (ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის სახწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ხელისუფლება განმარტავდა: „ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება რესპუბლიკის ყოველმა მოქალაქემ უნდა აღიქვას, როგორც საქმედ ქვევა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსია“ („კომუნისტი“, № 86, 1979).

ეს დადგენილება არ ეხებოდა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას; აյ მხჯელობა იყო სადისერტაციო ნაშრომთა რესულად თარგმნისა დაფინანსებაზე, გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა ჩართვაზე ამ საქმეში; „რესპუბლიკური უურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ სისტემურად გამოაქვეყნონ მასალები და პრაქტიკაში დანერგონ მიზნობრივი გადაცემები ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებზე“ და სხვა.

როგორც ვხედავთ: კონკრეტული დავალებები მიეცათ ცალკეულ უწყებებსა თუ დაწესებულებებს.

რამდენადაც უცნაურად უნდა მოეჩვენოს ვინმეს, საბჭოთა ხელისუფლება ქართულზე, როგორც სახელმწიფო ენაზე, აქტიურ ზრუნვას განაგრძობს: 1983 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ახალი დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინიტერთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების და შესწავლის სრულყოფის, ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. დადებითი შედეგი ამ დადგენილებებს აშკარად პქონდა: თუნდაც ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში „ყველა ფაკულტეტსა და ყველა სპეციალობაზე“ შემოღებულ იქნა ქართული ენისა და ქართული მეტყველების კულტურის კურსი და სხვა...

ცოტა მოგვიანებით ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაშინდელი სელმძღვანელობის ინიციატივით შემუშავდა და 1988 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა (გაზეთი „კომუნისტი“) ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი. პროექტის განხილვაში 9 თვეს გასტანა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში პროექტის გამოქვეყნებისთანავე დაიწყო მუშაობა (მსედველობაში გვაქვს უწყებრივი რესული დოკუმენტაციის გაქართულება, არაქართველთათვის ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფების განხსნა და მისთანანი)...

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს, გამოქვეყნდა 25 აგვისტოს... ესეც იყო დიდმნიშვნელოვანი მაგალითი დედაქანაზე ზრუნვისა... ეს ვრცელი ისტორია (ქართული ენის სასიკეთო ისტორია) და მოკლედ მოექრათ...

დღეგანდელ საქართველოში რა ხდება? დღეგანდელი ხელისუფლება როგორ აგრძელებს ბოლშევიკების მიერ ნორმალურად გაგრძელებულ ტრადიციას? დავასახელებ მხოლოდ ფაქტებს;

„ფარდების რევოლუციის“ შემდეგ –

გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;

გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;

გაუქმდა პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

გაუქმდა ყველა რადიო და ტელეგადაცემა, რომელიც ქართულ ენას ეძღვნებოდა...

ადარ განიხილება პარლამენტში შეტანილი ენის კანონი...

არ მუშაობს რეკლამის კანონის ის პუნქტები, რომლების ენას ეხება...

პრესის კანონში არაფერია თქმული პრესის ენაზე...

შემცირდა ქართული ენის საბოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში...

მომრავლდა არაქართულენოვანი სახწავლებლები...

ქართული ადარად სავალდებულო საგანი უმაღლეს სასწავლებლივი...

და სხვა... და სხვა...

ჰოდა, ბოლშევიკური სელისუფლების („ყველაზე არაეროფონული“ სელისუფლების) დამოკიდებულება ქართული ენისადმი საოცნებო გადგინდა...

ასე შევხვდით 2009 წლის 14 აპრილს...

როგორ შევხვდებით 2010 წლის 14 აპრილს?

„საქართველოს რესპუბლიკა“,
14 აპრილი, 2008 წელი

ქართული ენა აღარ არის

სავალდეგულო

უმაღლესი სასრავლებლების

ყველა ფაკულტეტზე

„რა ენა წახდეს, ერთც დაეცეს“, – ხშირ შემთხვევაში ამას განისილავენ როგორც ლამაზ პოეტურ ფრაზას, მაგრამ ეს არის ჭეშმარიტება, – ამბობს პროფესორი გოგონგი გოგოლაშვილი, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში გვესტურო, – მსოფლიო ისტორიაში იცის არა ერთი მაგალითი, როცა გაქრა ენა და გაქრა მისი მატარებელი ხალხი. ფაქტობრივად, იყო შუმერული, ურარტული, პელაზგური, ხეთური და ბევრი სხვა ენა, რომელთაგან დღეს არც ერთი აღარ არსებობს. რატომ? სად არიან შუმერები? ურარტუელები? პელაზგები? სად არიან ხეთები? რა თქმა უნდა, მათი შთამომავლები არსებობენ, მაგრამ მათ დაკარგეს ენა და ამ ხალხის სახსენებელიც გაქრა.

უახლოესი მაგალითიც ვთქვათ: გასული საუკუნის 50-იან წლებში თურქეთში ჯერ კიდევ იყო რამდენიმე კაცი, რომლებიც ლაპარაკობდნენ უბისურ ენაზე. უბისები ჩერქეზების მონათე-სავე ტომია, რომელიც მე-19 საუკუნეში გადასახლდა თურქეთში. უბისების შთამომავლებმა დაკარგეს ენა, აითქვითნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და გაქრა უბისი ხალხის სახსენებელი. ამიტომ ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც არაერთი ხალხის თავზე აცხადდა და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენს თავზეც აცხადდეს ეს ჭეშმარიტება, – გულისტკივილით აცხადებს პროფესორი.

– ბატონი გიორგი, რა საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ქართულ ენას დღეს და რა საფრთხეებია აცილებული უკანასკნელი წლების მანძილზე, ან პირიქით, რა საფრთხეების მიმართ არის მოდუნებული ყურადღება?

– ახლა, დვთის მადლით, ქართულს ასეთი საფრთხე რეალურად არ ემუქრება, მაგრამ არის ყოველგვარი ნიშანი იმისა, რომ, თუ ქართულისადმი უგულისყურო დამოკიდებულება ასე გაგრძელდა, თუ არ გამოვიწინდლით და არ მივაქციეთ ყურადღება, ეს თავის სავალალო შედეგს გამოიდებს. პრესაშიც დაიწერა, რომ დღევანდელი საგანმანათლებლო რეფორმის ერთ-ერთი თავგაცის – გიგი თევზაბის – თქმით, ჩვენ ყველაფერი უნდა გაფაგეთოთ საიმისოდ, რომ საქართველოში ინგლისური ენა იყოს სახელმწიფო ენა. ეს უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ ქართული მეორეხარისხოვანი ენა გახდება.

– მაგრამ საბჭოთა წლებშიც ასევე იდგა ამ საფრთხის წინაშე ჩვენი ქვეყანა. როცა კონსტიტუციიდან ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ამოღების ან მეორეხარისხოვან ენად მითითების მცდელობა იყო...

– კი, ბატონი, მაგრამ ეს ხდება 1978 წელს. ეს ის პერიოდია, როცა კომპარტიის ახალი პროგრამა გვეუბნებოდა, რომ უნდა მოხდეს ერებისა და ენების შერწყმა. მაგრამ, საბედნიეროდ, ამას ქართველი ხალხი შეხვდა ისე, როგორც უნდა შეხვედროდა. ამ შემთხვევაში ჩვენ, რაც მთაგარია, ტრადიცია გვიმაგრებდა ზურგს, რადგან მანამდე 1922 წლის, 1924 წლის, 1937 წლის კონსტიტუციებში ეწერა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. და, რაც მთაგარია, ერთი მხრივ, იყო ზეწოლაც, რამდენადაც უნდა გავიკვირვოთ, კომუნისტური სელისუფლება, ბოლშევიკური სელისუფლება სერიოზულად ზრუნავდა ქართული სალიტერატურო ენის, სახელმწიფო ენის განვითარებაზე. XX საუკუნის 20-იან წლებში, როგორც კი უნივერსიტეტი დაარსდა, შეიქმნა კომისიები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ ივანე ჯა-

ვახიშვილი, აკაკი შანიძე და სხვა მეცნიერები. საოცარი ერთ-სულოგნება იყო იმდროინდელ საქართველოში, რომ ქართულ ენას საქართველოში მისცემოდა ის ასპარეზი, რაც ეკუთვნოდა ქვეყნის სახელმწიფო ენას. უნივერსიტეტს თავიდან უჭირდა. ეს იყო კერძო უნივერსიტეტი და მაშინ ჩრდილოეთ კავკასიიდან, ოსეთიდან, სომხეთიდან იწერებოდნენ და უნდოდათ, სტუდენტები გამხდარიყვნენ, ანუ მოზიდვა შეიძლებოდა მსმენელისა და თანხებისაც, თუმა ესენი დათმობდნენ და თუმა სწავლება იქნებოდა არა ქართულად, არამედ რუსულად. არავითარი დათმობა! პირდაპირი პასუხი – სწავლა იქნება ქართულად! არ ვწლებიდან არავის, არც ეროვნების, არც სქესის, არც რელიგიის მიხედვით, თღონდ სწავლა იქნება ქართულად! და ასე აიდგა ფეხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

– ბატონო გიორგი, მოუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენის სახელმწიფო ენად დამკვიდრების საქმეში, ძალიან დიდი როლი ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ენის ნორმების დამდგენი კომისია იქმნებოდა, უნივერსიტეტთან მუშაობდა კაბინეტები, სადაც ტერმინებთან დაკავშირებით მხჯელობდნენ. დღეს რა მდგომარეობად ამ მხრივ უნივერსიტეტში, შეუძლია უნივერსიტეტს, თავიდან ძირილოს ენასთან დაკავშირებული საფრთხეები, რაც არსებობს და რაც მომავალში შესაძლოა, გაჩნდეს სხვადასხვა ენიდან წამოსული ტერმინების დამკვიდრებით?

– მართალს ბრძანებთ. როცა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაზე საუბრობენ, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ახალი ეტაპის დასაწყისად უნივერსიტეტის დაარსებას გამოყოფენ, რადგან, ფაქტობრივად, ამ უნივერსიტეტის წყალობით ქართულად ალაპარაკდა მეცნიერების თითქმის ყველა დარგი – დამუშავდა შესაბამისი ტერმინოლოგიები, გადაწყდა მრავალი პრობლემა, რაც ენასთან იყო დაკავშირებული. ამის საფუძველზე ამუშავდა ტერმინოლოგიური კომისიები, ნორმათა

დამდგენი კომისია 30-იან წლებიდან, მეცნიერებათა აკადემია, მერე – ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ა.შ. უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ქართული კულტურის ისტორიაში ყველა სასიკეთო საქმის მოთავე. 2006 წლის აპრილში კი უნივერსიტეტი რექტორად მოვიდა გ. ხუბუა და პირველი ბრძანება, რომელიც ხუბუას ხელმოწერით გამოქვეყნდა უნივერსიტეტის გაზეთში და გამოიქრა უნივერსიტეტის დერეფანში, ქართული ენის ინსტიტუტის გაუქმებას იუწყებოდა.. უნივერსიტეტში იყო ხუთი სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი: მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, გრეციასტიკის ინსტიტუტი, რუსისტიკის ინსტიტუტი და მერე შეიქმნა ქართული ენის ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელიც მე გახდეთ, შეიქმნა ქართული ენის კათედრებისა და ლაბორატორიების ბაზაზე. გ. ხუბუამ პირველივე ბრძანებით გააუქმა ქართული ენის ინსტიტუტი და იმავე გაზეთში, სადაც მეორე გვერდზე ეს ბრძანება იყო დაბეჭდილი, მესამე გვერდზე ვრცელი სტატია იუწყებოდა უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი ეკონომიკური სკოლის გახსნის შესახებ.

– კი მაგრამ, რით სხინდნენ ხუბუა და ის ადამიანები, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ამ ინსტიტუტის გაუქმების მიზან-შეწონილობას?

– სამწუხაროდ, მათ არაფერი აუქსნიათ. ლომბაიასდროინდედ საგანმანათლებლო სისტემაში, სამინისტროში ასეთი საკითხები წყდებოდა ამგვარად. გაგახსნდებათ, ალბათ, ის ფაქტი, რომ ლომბაიასა და ენის პალატის ხელმძღვანელ ლეგან ლვინჯილიას შორის შეუთანხმებლობის გამო პალატა გააუქმეს. პალატას უკვე პქონდა ფილიალები ყველა რევიონში, ყველა რაიონში, მწირი დაფინანსებით 200-ზე მეტი ადამიანი მუშაობდა, და იმისთვის, რომ მოეშორებინათ ლვინჯილია, პალატა გააუქმეს.

– იქნებ, საფრთხე აღარ არსებობს და დღევანდელმა ხელისუფლებამაც ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯები?

— საფრთხე ძალიან დიდია. განათლების ქანონის თანახმად, სწავლების ენა არის ქართული ენა. თუმცა XX საუკუნეში არა-ქართულენოვანი სკოლებიც იყო კომპაქტურად დასახლებულ აზერბაიჯანულ და სომხურ რეგიონებში, ასევე თბილისშიც. მაგრამ ეს იყო ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე. უმაღლეს სასწავლებლებში იყო რამდენიმე რუსულენოვანი ფაკულტეტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში. მაგრამ დღეს კავკასიის უნივერსიტეტში, სადაც არის ეკონომიკის ფაკულტეტი, ქართველ ბავშვებს ქართველი პროფესორები ეკონომიკას ინგლისურად ასწავლიან... რატომ უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტებში ინგლისურენოვანი ფაკულტეტები და ა.შ... ქართული ენის პარალელურად საგანმანათლებლო სივრცეში ფეხს იყიდებს სხვა ენა. და ეს არის არა მარტო უნივერსიტეტებში; ეს არის უფრო დაბალ დონეზე — საბავშვო ბაღებში, რაც ყველაზე მთავარია. სპეციალურად მოვიყითხე და სტატისტიკაც კი არა აქვს სამინისტროს, რამდენი სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში. უამრავი კერძო საბავშვო ბაღია, რომლებიც სასამართლოში რეგისტრირდება და არ არის აუცილებელი, სამინისტრო საქმის კურსში იყოსო. არადა, ეს განათლების პირველი საფეხურია.

— ადრე დადი ყურადღება ექცეოდა ახალი ტერმინების დამკვიდრებასაც, რასაც პრესა და ტელევიზია უწყობდა ხელს. დღეს რა შთაბეჭდილება გრჩებათ, როდესაც ტელევიზორს უყურებთ ან განეთხოვთ კითხულობთ?

— ენათმეცნიერების ინსტიტუტმა რამდენიმე სპეციალური კრებული გამოსცა, სერია გამოდიოდა... ერთი კრებული შეეხებოდა სახელმძღვანელოების ენას, მეორე — პრესის ენას; ეს კრებულები ურიგდებოდა რედაქციებს... სემინარები ტარდებოდა, ამას ისმენდნენ უურნალისტები... რედაქციებს ჰყავდა თავისი სტილისტები... XIX საუკუნეში ილია, აკაკი და სხვები განსაკუთრებულ ყურ-

ადღებას აქცევდნენ თეატრის ენას. და აი, რატომ: სცენიდან წამოსული არასწორი ქართული ძალიან ადგილად იყიდებდა ფეხს, მით უმეტეს, თუ კარგი სპექტაკლი იყო და კარგი მსახიობი ასრულებდა როლს. XIX საუკუნეში სხვა საშუალება არ იყო. დღეს გაცილებით დიდი აუდიტორია ჰყავს ტელევიზიას და ამ მხრივ ბევრი პრობლემაა. არავინ აკონტროლებს, არავინ აგებს პასუხს. ერთხელ სოფლის მეურნეობის მინისტრის ინტერვიუ გადასცეს, რომელშიც ამბობდა: – „ქალი სბოები შემოვიყვანეთ ჰოლანდიდან, ისინი როცა შობენ სბოებს, მათგან 90 პროცენტი ქალი სბოათ“. ეს რომ იმ პერიოდში ეთქვა ან დაეწერა ვინმეს, დამთავრდებოდა მისი უურნალისტური მოღვაწეობა.

– და, ალბათ, იმ მინისტრის კარიერასაც დაესმებოდა წერტილი...

– დიახ, ასე მოხდებოდა. საუბედუროდ, პრესის კანონში ერთი სიტყვაც არ წერია ენის შესახებ. საფრანგეთს აქვს ენის კანონი. იქ ასეა: როცა რომელიმე მასობრივი ინფორმაციის საშუალება ფრანგულს უდიერად მოეპყრობა, მათ იმის უფლებაც კი აქვთ, შეაჩერონ გაზეთის გამოცემა, დასაჯონ და ა.შ.

– ბატონო გიორგი, გაზეთის ან ტელეგადაცემის დაზურვა გამოსახვალი არ არის. ეს შედეგს არ გამოიღებს. მთავარია, გამოსწორდეს ეს მდგომარეობა...

– სახელმწიფო ენის შესახებ უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო და ყველა დონეზე, ყველგან, ყველა სფეროში უნდა არსებობდეს შესაბამისი კონტროლი. მაგრამ თუ ეს სელისუფლება დარჩა და ეს დამოკიდებულება გაგრძელდა, რაც ამ სელისუფლებას აქვს განათლებისა და მეცნიერების მიმართ, მაშინ განათლებაც დაიღუპება, მეცნიერებაც და ჩვენს მომდევნო თაობებს გაცილებით დიდი საფიქრად-საზრუნავი ექნებათ ამ მეცნიერებისა და განათლების აღსაღენად, ვიდრე ეს ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ XX საუკუნის დასაწყისში. ჩვენ წავანდინეთ საქმე. რაც კი არსებობდა,

ვისაც კი ეგალებოდა ქართულ ენაზე ფიქრი, ყველაფერი მთისპო. არსებობს ერთდღერთი კანონი რეკლამის შესახებ, სადაც წერია, ქართული ენის ადგილი როგორი უნდა იყოს რეკლამის ენაში. მაგრამ არის მეორე უბედურება: ამ კანონის ზედამხედველობა ეგალებოდა ანტიმონპოლიურ სამსახურს, რომელიც გააუქმეს. გაიარეთ გომის, ხაშურის, თერჯოლის მიდამოებში... თურქული წარწერებით აჭრელდა გზა. სასადილო, რესტორანი, ავტოპარკები – მხოლოდ თურქულ ენაზეა მინიშნებები. ქართველი მძღოლები ხომ მოძრაობები თურქებში, არის სადმე ქართული წარწერები? სადაც კეთდება უცხოურად, იქ ჯერ ქართულად უნდა ეწეროს და მერე უცხოურად, თანაც, მხოლოდ საერთაშორისო ენაზე.

იქნებ ამისხნას ვინმემ, რატომ გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული კომისია. და არა მხოლოდ ეს: გაუქმდა ენის პალატა, პარლამენტში იყო ქართული ენის ქვეყომიტეტი და აღარ არის, დაიხურა ქართული ენისადმი მიძღვნილი ყველა რადიო და ტელეგადაცემა, ენის კანონი განიხილებოდა პარლამენტში და აღარ განიხილება. შეცირდა ქართული ენის საათები სკოლებში, ქართული აღარ არის სავალდებულო უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტზე და ა.შ. ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან ქართულის ამოღების საკითხიც კი დახვეს და დღესაც დღის წესრიგშია. მაშინ განგაში ავტენტეთ და შეჩერდნენ. განათლების სამინისტროს სტანდარტების მიხედვით მშობლიურ ენაზე იწყება სწავლა, მესამე კლასში შეიძლება შემოვიდეს უცხო ენა, მეშვიდე კლასში – მეორე უცხო ენა და ა.შ. რა სდება ჩვენთან? იტალიურ სკოლაში პირველივე კლასიდან იტალიურს ასწავლიან. მეორე-მესამე კლასში, ქართულის გარდა, იტალიურს და ინგლისურს სწავლობენ.

– ალბათ, მშობელმა იცის, რომ მისი შეიძლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი არ გააგრძელებს სწავლას, არამედ აქაურ ინგლისურენოვან უმაღლეს სასწავლებელში ან

უცხოეთში. წინათ რუსულ სკოლაში შეპყავდათ ბავშვები, რათა შემდეგ მოსკოვში ან ლენინგრადში სასწავლებლად ჩასულებს კარგად სცოდნოდათ რუსული. ასეთ ტენდენციასთან ხომ არ გვაქვს საქმე?

– ზუსტად ეს ტენდენცია არის ახლაც. თქვენ გახსოვთ, 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო მასობრივი მოძრაობა – რუსული სკოლებიდან ქართულში გადმოიყენეს ბავშვები და ეს დაუკავშირეს ეროვნულ მოძრაობას. ბავშვება მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს განათლება. ახლა უკვე უკუპროცესი დაიწყო. როცა თბილიში ეკონომიკას ქართველ ბავშვს ქართველი ლექტორი ინგლისურად ასწავლის, და ამათ ჰგონიათ, რომ ევროპაში ჩვენს სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა, თავის მოტყუებაა. ამას ყველაფერს სახელმწიფოუნივერსიტეტი მიდგომა უნდა. ჩვენმა სახელმწიფომ ეს დაკარგა. რაც მთავარია, ამით კანონი ირდვევა. კანონში წერია, რომ უცხო ენაზე სწავლება დასაშვებია, თუ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით არის ერთობლივი სასწავლებლებით. დღეს კანონს არავინ აქცევს ყურადღებას. დღეს უყურებენ, ვინ არის იმ დაწესებულების სელმძღვანელი. და თუ მათვის მისაღები ადამიანი ხარ, რაც გინდა, ის აგეთე. ეს არის უბედურება. კანონს ისინი არღვევენ, ვინც უნდა იცავდეს, და ამას ეწირება ქართული ენა.

ესაუბრა
ბონდო მძინარაშვილი

„საქართველო და მსოფლიო“,
29 აპრილი – 5 მაისი, 2009 წელი

ქართული ენა

და

ეროვნული აკადემია

1995 წლის ნოემბერში დაა წერილი მივწერე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს:

„ბატონო ალბერტ,

ვიცით, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არის ენისა და ლიტერატურის განყოფილება. გვასსოვს, რომ არცთუ შორეულ წარსულში ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში იყო არაერთი თვალსაჩინო მეცნიერი – ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად აკადემიაში არ არის ქართული ენის არცერთი სპეციალისტი, არც ნამდვილი წევრი და არც – წევრ-კორესპონდენტი.... ქართული ლიტერატურის მეცნიერებათაგან მხოლოდ ერთია ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (ბატონი გ. ციციშვილი), არცერთი – წევრ-კორესპონდენტი....

გვაინტერესებს და გთხოვთ გვიპასუხოთ:

დღეს საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთაგან არ არის ვინმე იმ დონის მეცნიერი, რომ ეროვნული აკადემიის წევრობის (თუნდაც წევრ-კორესპონდენტობის) დირსი იყოს?

ნუუ ფილოლოგის სხვა დარგების განვითარების დონე საქართველოში დღეს იმდენად მაღალია ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევის დონესთან შედარებით, როგორც თქვენს

აკადემიაში ასეთი შეფარდებითაა წარმოდგენილი – ერთია: მრავალი.

სომ არ გრძელდება ის „ტრადიცია“, როცა აკადემიაში არჩევაზე უარს ეუბნებოდნენ პავლე ინგოროვგას, აკაკი გაწერელიას?..“ („ბურჯი ეროვნებისა“, № 4, 1995 წელი).

დღეს, 14 წლის შემდეგ, ვითარება ასეთია:

მეცნიერებათა აკადემიას ოფიციალურად ეწოდა ეროვნული ეროვნულ აკადემიაში არის მხოლოდ ორი წევრ-კორესპონდენტი: – ქართული ენის სპეციალისტი! რა შეიცვალა ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში „თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ“ საქართველოში ქართული ენის სახარგებლოდ?.. ვაი, რომ არაფერი... ეს კიდევ ერთი უბედურებაა იმ მრავალთაგან, ქართული ენის თავზე რომ ტრიალებს...

„გვეშველება რამე?“

ნაწილი II

დედაქა –

იაპობის სიტყვათშემოქმედების ცაყოფი*

იაკობ გოგებაშვილის „დედაქას“ გამოსვლამდე (1876 წ.) და შემდეგაც რამდენიმე საანბანე წიგნი იყო საკმაოდ უბრალო და გრძელი სათაურებით:

ს.-ს. ორბელიანი – ანბანი პირველად სახწავლო ყრმათათვის;
ივ. კერესელიძე – ანბანი ახალ მოპსწავლეთა ყრმათათვის;
ალ. ნათაძე – ბაგშვის მოკეთე;

რაფიელ ისარლიშვილი – პირველი წიგნი წერა-კითხვის სახ-
წავლებლად;

ლუკა ჩომახიძე – ქართული ანბანი;
ანთიმოზ ჯუღალი – ყმაწვილის სარკე, ანუ წერა-კითხვის
სახწავლო წიგნი;

ი. გოგებაშვილი – ქართული ანბანი და პირველი საკითხავი
წიგნი...

და 1876 წელს გამოდის წიგნი სხარტი და ორიგინალური
სახელწოდებით: „დედა ქნა“: თუმცა პირველი გამოცემის სათაურს
ახლავს განმარტება – „ანუ ანბანი და პირველი საკითხავი
წიგნი...

* ამ წერილის გადმობეჭდვა მომდევნო წერილების ინტერესით მოხდა.

წიგნი“; უცხო სათაურს ახსნა დასჭირდა. მერე, როცა ბუნებრივ სახელად იქცა მკითხველისთვის „დედა ენა“, განმარტება მოეხსნა:

1912 წლის (იაკობის სიცოცხლეში ბოლო, 33-ე) გამოცემა, მოგეხსენებათ, ორ წიგნად გამოვიდა:

| დედა ენა | დედა ენა |
|----------------|--------------------------------|
| პირველი ნაწილი | მეორე ნაწილი |
| ქართული ანბანი | საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ |

„ქართული ანბანი“ და „საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ“, არის არა განმარტება დედა ენისა, არმედ სათაურები ცალკეული ნაწილებისა.

ის ფაქტი, რომ პირველ გამოცემას განმარტება დასჭირდა, იმით უნდა აიხსნას, რომ სახელი დედა ენა მშობლიური ენის მნიშვნელობით იაკობ გოგებაშვილის შექმნილია. „დედა ენა“ მიზნობრივად შეიქმნა საანბანე წიგნისთვის ისეთი ქართული სიტყვების ანალიგით, როგორიცაა დედა-მიწა, დედა-ბოძი, დედა-ბურჯი, დედა-ქალაქი, დედა-აზრი (ყველა ამ სიტყვას იაკობი დეფისით წერს, ისევე როგორც დედა-ენას პუბლიცისტურ წერილებში). იმდენად მარჯვედ იყო შექმნილი ეს სახელი, რომ იგი სწრაფად გავრცელდა და დამკვიდრდა ქართულში მშობლიური ენის სინონიმად.

არის კი ასე? ვფიქრობთ, კი:

1976 წლამდე თავად იაკობ გოგებაშვილიც დედაენის მნიშვნელობით სხვა გამოთქმებს გამოიყენებს: ქართული ენა, სამშობლო ენა. „ბუნების კარის“ პირველ გამოცემას (1868 წ.) გარეკანზე აწერია:

„ვინც რომ სამშობლო ენას
ივიწყებს და არ ეძებს,

ძრიელ კარგიც რომ იყოს,
ნაყოფს ვერ გამოიღებს.“

სამწუხაროდ, 1876 წლამდე იაკობს კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები ცოტა აქვს, მით უმეტეს, ისეთ თემაზე, ამ გამოთქმის (დედა-ენა) გამოყენების საჭიროება რომ პქონოდა. 1876 წლის შემდეგ კი მშობლიური ენის მნიშვნელობით ჩვეულებრივ დედა-ენას გამოიყენებს. ერთი ამონარიდი:

„ღმერთი არის მეუფე გულის, და მხოლოდ გულისა. ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, გამოიხატება მხოლოდ დედა-ენით, იმიტომ, რომ მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედა-ენაზედ შეიძლება იღოცოს ადამიანმა გულმხურვალედ... დაად, მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა“ (1888 წ.).

საგულისხმო ფაქტი: „დედა ენის“ ყველა გამოცემას (1912 წლის ჩათვლით) დედა ენა ორ სიტყვად აწერია. კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში ჩვეულებრივ დეფისით წერს – დედა-ენა. ასევე წერს სიტყვებს დედა-ძიწა, დედა-ქალაქი, დედა-აზრი... ეს თავისთავად საინტერესო საკითხი ასხნას საჭიროებს. ერთ სიტყვად მოიაზრებენ (დეფისით წერენ) დედა-ენას იღიად და აკაკიც. დღევანდელი ნორმის მიხედვით, ერთად იწერება – დედაენა.

დასტურად იმისა, რომ დედაენა იაკობის შექმნილი სიტყვად და აქედან გავრცელდა სხვაგან, იღიას და აკაკის მაგალითებს მოვიყვანთ.

ჩვენ შეძლებისდაგვარად გადავიკითხეთ 1876 წლამდე დაწერილი იღიას კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები. სიტყვა დე-

დაუნა არ შეგვხვედრია; ამ მნიშვნელობით სხვა გამოთქმები გამოიყენება:

რამდენიმე ამონარიდი წერილიდან „ორიოდე სიტყვა...“ (1861 წ.):

„ეგრეთ უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა“;

„კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავისი დედ-მამის ენა ისე...“

„არა მარტო ვსწავლობთ იმათს მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას...“

„ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ...“

„ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას...“

„იქნება ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენასა...“

„ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს...“

„ჩვენ ჩვენი ენის დამცირებამ დაგვაწერინა...“ და მისთანანი.

1877 წელს დაწერილი ოთხგვერდიანი წერილიდან „ვიცინოთ ოუ ვიტიროთ“:

„აქ ქართულ ენას პირველი ადგილი ეჭირება სხვათა შორის...“

„ქართულის ცოდნა გულს აუსუყებს...“

„და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან...“

„ამის გამო მაინც ქართულს ენას სემინარიაში საჭალი ექნებაო...“

„ჯეროვანი გზა მიეცემოდა ქართულ ენას...“

„ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს...“ ყველა შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით მშობლიური ენა იგულისხმება, ანუ დედა-ენა. იაკობის „დედა ენა“ ამ დროს ასალი გამოსულია...“

ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნებულ წერილში (1881 წ.) „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ ილია მშობლიური ენის მნიშვნელობით მხოლოდ დედა-ენას გამოიყენებს. ერთი ამონარიდი:

„ყველამ, დიდმა და პატარამ, შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საერთოსათვის საკუთრივ.“

ჩვენ რომ ეგრე დაუინებით და უკანდაუხეველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებლში, – ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოველად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათორგუნვისა, გათახსირებისაა, – და განა ეს სასურველია ვისთვისმე? ზემომოყვანილიდამ ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც-თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს“. ამავე წერილში იღია უშინსკის, კომენსკის და სხვათა ამონარიდების თარგმნისას მხოლოდ დედა-ენას გამოიყენებს...

კიდევ ერთი ცნობილი აზრი იღიასი: „ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, მევიძრს და დიდ ბოძს სახლისას – „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-კი „გუთნის-დედას“... დედა-ენა მსგავსი სტრუქტურის სხვა სიტყვათა გვერდით დაყენა ჩვეულებრივ... ეს 1898 წელს დაიწერა...“

პოეზიაში იღია ხუთჯერ გამოიყენებს სიტყვას დედა-ენა ლექსში „ორსმიანი საახალწლო ოპერეტი“. იაკობ გოგებაშვილს ათქმევინებს:

„დედა-ენა მიჩს სახელად...“ „დედა-ენითა წერთნა ყრმისა...“ „დედა-ენა პირველადვე...“ „დედა-ენა მით არს კარგი...“ „დედა-ენას სთხრიდეს...“ ლექსი 1894 წელსაა დაწერილი.

იგივე ვითარება არის აკაკი წერეთელთანაც: იაკობის „დედა-ენის“ გამოხვლამდე ამ სახელს აკაკისთან ვერ ვწვდებით;

„ქართულზედ რომ ხელს იღებენ“...
„ქართულ ენას არად ხდიან...“ (1861 წ.).
„მათმა ჭკვიანურმა აზრებმა და მათთანაც ქართული ენის ჟედმიწევნით ცოდნაშ გამატებირება...“ (1867 წ.).
„არ ეთაკილებოდეს ქართული ენა...“
„ჯერ ქართულიც არ იცი...“ (1868 წ.).

1876 წლიდან კი „დედა ენის“ გამოსვლის შემდეგ, აკაკისთვის დედაენა ჩვეულებრივი სიტყვაა. აკაკი ჩვეულებრივ დედა-ენას გამოიყენებს:

„მაგრამ მე კი ვერ გავიგე, თუ რა ენა უნდა ყოფილიყო მათი დედა-ენა“... (1876 წ.).
„იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკბილად სასაუბროდ“... (1877 წ.).

„მველად ჩვენში სამღვდელოებაშ იცოდა საფუძვლიანად დედა-ენა...“ (1887 წ.) მსგავსი მაგალითები მრავლადაა...

აკაკის პოეზიაში 10-ჯერ არის ნახმარი სიტყვა დედაენა:
„კრულია მისი სსენება, ვინც დაგმობს დედა-ენას“... (1880 წ.)
„რომ დედა-ენაც არ იცის“... (1889 წ.)
„დედა-ენა და ერობა ქრისტეს რჯულს უკავშირაო“... (1892 წ.)
„სამშობლო მხრისა და დედა-ენის“... (1901 წ.)
„ არც მის სიწმინდეს, მის დედა-ენას“... (1909 – 1910 წ.)
„ რომ შეგვრჩენოდა ჩვენ დედა-ენა“... (1909 – 1910 წ.)
„ნუ გადასცვლით უცხოზე ქართულ დედა-ენას“ (1911 წ.)
„ და გვირგვინი კი სწავლისა უფროსად დედა-ენისა...“ (1912 წ.)
„ აღადგინა გორგასალმა დედა-ენა დაკარგული“... (1912 წ.)
„შეოლები მოსწავლეებსა უსპობენ დედა-ენას“... (1912 წ.).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მსჯელობა ადასტურებს იმას, რომ დედაენა იაკობ გოგებაშვილის სიტყვათშემოქმედების ნაყოფია,

ამიტომაც წიგნისათვის ამ სათაურის გამოყენება მაგანის მიერ მითვისებაა სხვისი საკუთრებისა.

მოდით, ისიც ვთქვათ, როგორაა დედაენა წარმოდგენილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

ქეგლ-ის რვატომეულში დედაენა ცალკე სალექსიკონო ერთეული არ არის. დედა ენა, ორ სიტყვად დაწერილი, იდომატურ გამოთქმადაა მიჩნეული და სიტყვა დედა-სთან არის შეტანილი (შეგნიშნავთ: ორთოგრაფიულ ლექსიკონში ერთ სიტყვადაა დაწერილი – დედაენა): დედა ენა 1. ენა, რომელსაც ბავშვობიდანვე ითვისებს ადამიანი მშობელთაგან და მახლობელთაგან და ყველაზე უფრო ბუნებრივია მისთვის ლაპარაკსა და აზროვნებაში; ენა, რომელზეც პირველად ამეტყველდება ბავშვი და რომელიც ურთიერთობის საშუალებაა იმ საზოგადოებისა, რომლის წევრიც თვითონ არის, – მშობლიური ენა, ღვიძლი ენა. 2. სახელწოდება მშობლიური ენის პირველდაწყებითი სახწავლო წიგნისა, რომლითაც ბავშვები წერა-კითხვას სწავლობენ.“

პირველი მნიშვნელობის საილუსტრაციოდ ორი მაგალითია მოყვანილი: „ქართველი ღვიძლი ენასაც „დედა ენას“ ეძახის“ (ილია); „კრულია მისი სხენება, ვინც დაგმობს დედა ენასა“ (აკაკი). მეორე მნიშვნელობის საილუსტრაციოდ იაკობის ციტატად მოყვანილი: „ამის შემდეგ მოხწავლეები გადავლენ „დედა ენას“ მეორე ნაწილზე“.„

საგულისხმო შენიშვნა: როგორც ილია, ისე აგაკი დედა-ენას დეფისით წერენ; ლექსიკონში დამოწმებულ წინადადებებში ცალკელება დაწერილი.

1986 წელს გამოცემულ განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ტომეულში დედაენა სალექსიკონო ერთეულადაა შეტანილი. განმარტება რვატომეულიდანაა ზუსტად გადმოტანილი (პირველ მნიშვნელობას აკლია ფრაზა ღვიძლი ენა); ილუსტრაციები არაა მოხმობილი. II მნიშვნელობის ბოლოს მიწერილია ი. გოგებაშვი-

ლის „დედაქნა“, არა როგორც იღუსტრაცია, არამედ როგორც განმარტება.

სასურველია, განმარტებითი ლექსიკონის მრავალტომეულის ახალ გამოცემაში დედაქნა ასევე იქნეს სალექსიკონო ერთულად შეტანილი; აუცილებელია, საილუსტრაციოდ, როგორც იაკობის შექმნილ სიტყვას, იაკობის მაგალითი დაგურთოთ, ცხადია, ილიასა და აკაკის მაგალითების გვერდით...

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების
პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები,
27 ოქტომბერი, 2008.

ვისია „დედაენა“?*

იაკობ გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებზე ზრუნვა, მოვლა-პატრონობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცველებელ საზოგადოებას უანდერძა. განსაკუთრებით „დედაენის“ ბედი ადარდებდა მარადიულ თანამედროვეს. პატრონობაში იმას გულისხმობდა, რომ დრო-უამის შესაფერისი ცვლილებები უნდა შესულიყო წიგნში. ვინც იცნობს „დედა ენის“ ისტორიას, დამეთანხმება: არ ყოფილა გამოცემა, რომელიც ზუსტად გაიმეორებდა წინამორბედს. ამბობს ერთგან იაკობი: „დედა ენა“ მაშინ მოჰვდება, როცა ის გაუკეთესებას მოაკლდებათ“ ...

იაკობის ანდერძის შესაბამისად, დღეს განათლების სამინისტროში უნდა იზრუნოს „დედა ენის“ მოვლა-პატრონობაზე. სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობასთან ამ მხრივ ჩვენ პრეტენზია არ გვაქვს... კარგია, რომ სამინისტროში ახალი მესვეურების მიხვდისას გამოაცხადეს: „ჩვენ ვივლით ილიასა და იაკობის გზით“ ... კარგია ისიც, რომ სამინისტროში მისულ კაცს, ილიასთან ერთად, იაკობის სურათიც შემოანათებს... დიახ, ეს ყოველივე კარგია. იმედია, ის პრობლემა, რამაც ამ წერილის დაწერა გადაგვაწყვეტინა, უმტკიფნეულოდ მოგვარდება...

როგორც ცნობილია, განათლების სამინისტრომ სახელმძღვანელოებზე კონკურსი გამოაცხადა. ჩვენთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ პირველი კლასის შვიდი საანბანე წიგნია წარდგენილი საკონკურსოდ. ამათგან ხუთს „დედაენა“ ჰქვია. პოდა, ჩვენ, სწორედ, ეს პრობლემა გვაწუხებს: „დედაენის“ აფტორად იაკობ გოგებაშვილი არსად არის მითითებული...

* თანაავტორი იოსებ ჭუმბურიძე

პკითხეთ ნებისმიერ წერა-კითხვის მცოდნე ქართველს, ვინ არის ავტორი „დედაენისა“ და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთ პასუხს მიიღებთ: იაკობ გოგებაშვილი! ჩვენს სინამდვილეში რა სდება?

ძირითადად სახელმძღვანელოდ ორი წიგნია დაშვებული:

| საგანი | სახელმძღვანელო | ავტორი |
|------------------|----------------|---------------------|
| 1. მშობლიური ენა | დედაენა | გ. რამიშვილი |
| 2. მშობლიური ენა | დედაენა | გ. როდონაძა და სხვ. |

დამსმარე ლიტერატურის ნუსხაში შეტანილია:

| საგანი | სახელმძღვანელო | ავტორი |
|------------------|----------------|-----------------------|
| 1. მშობლიური ენა | დედაენა | დ. შალიგიანი-ხოტიფარი |
| 2. მშობლიური ენა | დედაენა | რ. ჩხერიძა |

სელთა გვაქვს „საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაცია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2002-2003 სასწავლო წელს სასწავლო პროცესში დაშვებული სახელმძღვანელოებისა და „მათი სტატუსის შესახებ“ (გაზეთი „ახალი განათლება“, №23, 2002 წ.). სამწუხაროდ, ახალი დოკუმენტი ვერ მოვიპოვეთ. თუმცა, გვგონია, რომ ის დიდად არ იქნება განსხვავებული ამ დოკუმენტისაგან...

მკითხველის უკრადღებას მივაყრობთ პირველი კლასის მშობლიური ენის სახელმძღვანელოს.

აქ, ოთხი „დედაენაა“ დასახელებული. სად არის იაკობ გოგებაშვილი? შეიძლება, გვითხრან, ზუსტი ორიენტაციისათვის ვინც იაკობის „დედა ენა“ გადაამუშავა, ავტორად ის მივუთითეთ (იაკობ გოგებაშვილის „დედან ენის“ მიხედვით შეადგინა ვალერიან რამიშვილმა). დავუშვათ და ასეა ერთ შემნვევაში, სხვა შემთხვევაში?

„ავტორები“ იტყვიან, სხვაგან საერთო არაფერია იაკობის „დედა ენასთან“, ამიტომაც აღნიშვნაც საჭირო არ არისო. ჩვენც სწორედ აქა ვართ:

შეიძლება თუ არა, წიგნს დაერქეას „დედაენა“, როცა საერთო არაფერი აქებს იაკობის ქმნილებასთან?

რას წარმოადგენს ალტერნატიული „დედა ენა“ (ავტორები ვ. როდონაია და სხვები)? ამის თაობაზე, არაერთგზის დაიწერა და ითქვა. ამჯერად წიგნის ავ-კარგი არ გვაინტერესებს: ფაქტია – სრულიად განსხვავებული პრინციპები, განსხვავებული მასალა (თუ მსედველობაში არ მივიღებთ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებიდან აღებულ რამდენიმე ტექსტს).

სულ სხვა ვითარებაა ლ. შალიგიან-ხოტივარის „დედაენაში“. ესაა საკითხავი წიგნი, რომელშიც „ავტორს“ ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ ანბანის შესასწავლ სიტყვათა (ია, თითო... რეპანი) თემებზე თავის მიერ შედგენილი „ლექსები და პროზაული ტექსტები“ შეუტანია. ამ წიგნს ეს აქვს საერთო იაკობიან, ამიტომ აწერია ტიტულზე: „ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით, შეადგინა ლ. შალიგიან-ხოტივარმა“. რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია ამგვარი მსჯელობაც: „დედაენა“ ვუწოდე ისე, როგორც დედა არქევეს ხოლმე თავის პირმშოს სახელს ვისიმე სიყვარულით და პატივისცემით. ვფიქრობთ, ეს წიგნი მოკრძალებით დადგება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გვერდით. ცალკე მსჯელობის საგანია წიგნის თემატური მხარე და მასში შესულ ნაწარმოებთა მხატვრული დონეც. გავისხნოთ: შესანიშნავი საბავშვო მოთხრობების ავტორი იაკობ გოგებაშვილი სხვას აძლევდა თემებს და სთხოვდა წიგნისთვის მასალის დაწერას (ჩემზე კარგად წერსო...).

ეს მსჯელობა განათლების სამინისტროს კომპეტენტური კომისიის საქმეში ჩარევად ნუ ჩაგვეთვლება. ამ თემებზე ადრეც დაგვიწერია, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. მთავარი

და არსებითი, რასაც გვინდა განათლების სამინისტროს ყურადღება მივამყროთ, ესაა სახელმძღვანელოს სახელი და იაკობის აფტორობის საკითხი.

სახელმძღვანელოს „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილმა დაარქვა. 1876 წლამდეც და მას შემდგაც. არაერთი საანბანე წიგნი არსებობდა. მათ, რა თქმა უნდა, სხვა სახელი ერქვა.

„დედა ენა“ აფტორისაა, იაკობისა! მისი („დედა ენის“) გამოყენება სხვა აფტორთა მიერ, მითვისებად სხვისი საკუთრებისა! სააფტორო უფლებების უხეში დარღვევა!

ეს რომ იყოს საგნის სახელთან გაიგივებული „ნეიტრალური“ სახელწოდება – „ქართული ენა“, „მშობლიური ენა“, – სხვა საქმე იქნებოდა. ცხადია, ყველას აქვს ამგვარი სახელის დარქმევის უფლება. „დედა ენის“ გამოყენება სხვა აფტორთა მიერ იგივეა, მხატვრულ ნაწარმოებს ვინმემ „ვეფხისტყაოსანი“ ან „თოთარაანთ ქვრივი“ დაარქვას...

ამ თემაზე, სამოქალაქო სამართლის მცოდნე მაღალკული-ფიციურ იურისტებთანაც გვქონდა საუბარი. ცხადია, ამ საქმის გამოხატვება სასამართლოს წესითაც შეიძლებოდა, მაგრამ ამას მრავალი უხერხულობა და უსიამოვნება მოჰყება; პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში არა მხოლოდ „ავტორს“ (სხვისი საკუთრების მიმთვისებელს), არამედ იმისაც უნდა დაკაისროს, ვინც ამგვარ წიგნებს სახელმძღვანელოს გრიფი მიანიჭა. ეს უხერხულობა რომ მოიხსნას, ამისათვის მოვუწოდებს განათლების სამინისტროს შესაბამის სამსახურს ობიექტურობისაკენ, სამართლიანობისაკენ.

რას ვთხოვთ? – მოგასხენებთ:

თუ საანბანე სახელმძღვანელო „აა ია“-ს პრინციპზეა შედგენილი, მას შეიძლება ეწოდოს „დედა ენა“ და მის აფტორად უნდა იწოდებოდეს იაკობ გოგებაშვილი (სხვათა შორის, იაკობი თავის თავს „შემდგენელს“ უწოდებდა!). ვინც იაკობ გოგებაშ-

ვიღის პრინციპზე დაყრდნობით შეადგინა ახალი სახელმძღვანელო, მის მიმართ უნდა ითქვას: „ო. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით, შეადგინა...“ (როგორც ეს არის ვ. რამიშვილის მიერ გამოცემულ „დედაენაში“): ანდა „ო. გოგებაშვილის „დედა ენა“ გადაამუშავა“...

ხოლო საანბანე წიგნს, რომელიც არ არის შედგენილი „აი ია“-ს პრინციპზე, არ შეიძლება ეწოდოს „დედაენა“! შესაბმისად, მის აგტორად შეიძლება დაიწეროს ის, ვინც ეს სახელმძღვანელო შეადგინა.

სამართლიანობა ამას მოითხოვს.

თავშიც ვთქვით: განათლების სამინისტრო ვალდებულია, დაიცვას იაკობ გოგებაშვილის საკუთრება ხელყოფისაგან, მითვისებისაგან, გაუფრთხილდეს და უკვდავყოს დიდი ერისკაცის სახელი.

გაზეთი „თბილისი“: №70, 2005 წელი

დილეტანტიზმი და

არაპომანტინტურობა დაღუავს

ქართულ სკოლას

ლია წერილი სიმონ ჯანაშიას

ბატონო სიმონ, ახლახან წავიკითხე თქვენი – დღევანდელი განათლების სისტემის ერთ-ერთი მესვეურის, პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის – ინტერვიუ გაზეთში „საქართველო XXI“ (30 მარტი – 5 აპრილი). სამწუხაროდ, თქვენი თანამდებობა კი გაძლევთ ამგვარი აზრების გამოთვემის საშუალებას, მაგრამ როგორც ჩანს, თქვენი კომპეტენცია ამ სფეროში საკმაოდ შეზღუდულია.

დავიწყოთ იმით, რომ განათლების სამინისტროს თავკაცები-საგან იაკობ გოგებაშვილისა და მისი „დედაენის“ დაცვა მე და ჩემნაირებს კი არ უნდა გვიხდებოდეს. უპირველეს ყოვლისა, სამინისტრო უნდა იყოს პატრონი „დედაენისა“ და მისი ავტორისა. იცით რატომ? „დედაენა“ წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოებას უანდერძა იაკობმა. იურიდიულად შეიძლება არა, მაგრამ მორალურად ხომ უნდა იყოს განათლების სამინისტრო სამართალმექვიდრე იმ საზოგადოებისა? ამაზეც ნუ ვიკამათებთ, იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობას ვინ უპატრონოს?

თქვენ უარყოფთ იმას, რომ სიტყვა დედაენა იაკობ გოგებაშვილის შექმნილია; გაიკვირვეთ კიდეც: „არა, რატომ. ის სხვა ენებსაც აქვთ“. სხვა ენებსაც რომ აქვს მსგავსი სტუქტურის სიტყვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იაკობმა უცხოურიდან აიღო.

თქვენ არ ხართ კომპეტენტური ამ საკითხში და განგიმარტავთ: იყობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლამდე (1876 წლამდე) არც იღლიას, არც აკაკის და არც თავად იაკობის ნაწერებში სიტყვა დედაენა არ გვხვდება, მისი მნიშვნელობით გამოიყენებენ გამოთქმებს ქართული ენა, მშობლიური ენა, დედ-შამის ენა... 1876 წლიდან, ფაქტობრივ, მნიშვნელოდ დედაენა იხმარება... თუ მოიცლით იღლიას, აკაკის და იაკობის ნაწერების წასაკითხად, თქვენც დარწმუნდებით... მართალია, ამ სტრუქტურის სიტყვები სხვა ენასაც აქვს, მაგრამ მთავარი მაინც მისი მნიშვნელობაა: დედაენა შეიქმნა ისეთი ქართული სიტყვების ანალოგით, როგორიცაა დედაბოძი, დედაბზრი, დედაქალაქი; დიახ, დედაენა ნიშნავს მთავარ ენას (შდრ.; მთავარი აზრი, მთავარი ბოძი, მთავარი ქალაქი...); ამით იაკობმა ქართველური ენობრივ სივრცის სწორი გააზრება მოახდინა...

სიტყვა დედაენა შეიქმნა მიზნობრივად საანბანე წიგნისათვის და ისევე იაკობის კუთვნილება, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ თუ „სიბრძნე სიცრუისა“ თავიანთი ავტორებისა. იმასაც შეგახსენებთ, რომ იაკობამდეც და შემდეგაც არაერთი საანბანე წიგნი შეიქმნა (ი. კერძესელიძისა, ა. ნათაძისა, რ. ისარლიშვილისა, ლ. ჩომახიძისა, ა. ჯულელიძესა...); ყველა წიგნს თავისი სახელი ერქვა, „დედაენა“ – მნიშვნელოვანი იაკობისას... ისევე, როგორც არ შეიძლება ვინმებ თავის წიგნს „ვეფხისტყაოსანი“ ან „სიბრძნე სიცრუისა“ დაარქვას, არც „დედაენის“ დარქმევის უფლება აქვს სხვას... ჩვენ საკითხს ასე ვსვამდით: თუ საანბანე წიგნი აი ია-ს პრინციპზეა შედგენილი, უნდა მიეთითოს, რომ შედგენილია ი. გოგებაშვილის მიხედვით; თუ ათ ია-ს პრინციპი უარყოფილია, არ შეიძლება ეწოდოს „დედაენა“ (სამწუხაროდ, გვაქვს როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაც)...

უცნაურ რამეს ბრძანებთ, ბატონო სიმონ: „საავტორო უფლებებს კი განსაზღვრული ვადა აქვს, რომელიც ყველა საერ-

თაშორისო ნორმითაც კი გახულია“. „დედაენის“ შესახებ არის საუბარი! იურიდიულის გარდა მორალური და ზნეობრივი ნორმებიც რომ არსებობს, ეს არ გაგიგიათ? ცხადია, ი. გოგებაშვილი ვერ უჩივლებს ბ. სულაკაურს; მაგრამ თქვენ, განათლების სისტემის ერთ-ერთმა მესვეურმა, მხარი უნდა დაუჭიროთ იაკობის საკუთრების მითვისებას და „იურიდიულადაც გაამაგროთ“ ეს ტაციობა? ზნეობა, მორალი ვახსენე ზევით; თქვენს სისტემაში ასეთი ცნებები „არ მუშაობს“?

ბატონო სიმონ, თქვენ დილეტანტი ხართ ისეთ სფეროში, როგორიცაა ქართული ენა და დაწყებითი განათლება, ამიტომ თაგს უფლებას არ უნდა აძლევდეთ, ასეთი რამ განაცხადოთ: „დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ბავშვი „აი და“-ს ისწავლის თუ „აი მე“-ს. მთავარია, წერა-კითხვა ისწავლოს“ ასე შეიძლება ვიღაცამ იმსჯელოს, მაგრამ მისგან, ვისაც სახელმძღვანელოების ბედი აბარია ქვეყანაში, ამგვარი აზრის გამოთქმა დანაშაული მგონია მე...“

არაკომპეტენტურობისა და დილეტანტიზმის კიდევ ერთი „ნათელი“ მაგალითია თქვენი მსჯელობა ანბანის სწავლების მეთოდებზე: „სწავლების ორი მეთოდი არსებობს – ანბანური, ანუ მოსწავლე, როცა ასო-ბგერის მიხედვით სწავლობს კითხვას და მეორე, როცა სურათის მიხედვით იცის სიტყვა და ამით იმასხოვრებს საწყის ასოებს. ევროპაში ეს მეთოდია გამოცელებული... გფიქრობ, რომ ანბანურ სწავლებას მეორე მეთოდი სჯობს“...

თქვენ რომ ასე ფიქრობთ, ბატონი სიმონ, ეს ცოტას ნაშნავს; მთავარია, რას ფიქრობენ პროფესიონალები. იცით თუ არა, რომ ქართული ენის ბუნების გამო აი და-ს პრინციპი ზედგამოქრილია ჩვენი ენისათვის: ეს არის ენა, რომელშიც ერთ ბერიას ერთი ასო შეესაბამება. მაშინ როცა, ევროპულ ენებში ერთი და იგივე ასო სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვაგვარად იკითხება; კიდევ: ერთი ბერია ორი, სამი და ოთხი ასოთიც კი გადმოიცემა... ამიტომ

თი ია-ს პრინციპის გამოყენება მათთვის (ევროპული ენებისათვის) შეუძლებელია... ქართულისათვის კი თქვენგან მოწონებული ევროპული მეთოდის გამოყენება უაღრესად გაურთულებს ქართველ მოზარდს წერა-კითხვის შესწავლის პროცესს... მაგრამ დამატირებული მექანიზმის ბაზშის ბედი გაინტერესებთ საერთოდ?..

ჩვენ ვწერდით, სულაკაურის „დედაენა“ ერთი თვის მერე გვერდზე გადადეს და „**თი ია-ს პრინციპზე აგებული დედაენა**“ აიდებ-მეთქი. თქვენ ბრძანეთ, კანონი დაურღვევიათო. ბატონო სიმონ, სანამ დამნაშავედ გამოაცხადებ იმ ჰედაგოგს, რომელმაც თქვენგან მოწონებული წიგნები შეცვალა გოგებაშვილის „დედაენით“, ის რატომ არ იკითხეთ, რატომ შეცვალეს... უბედურება ის კი არ არის, რომ თქვენ ასეთი აზრები გაქვთ, არამედ ის, რომ თქვენს აზრს მითითების ძალა აქვს...

„**დედაენა**“ ტრადიციული გზით ვერ ივლისო“, აცხადებთ თქვენ უბოდიშოდ... იქნებ, სანამ ასეთ განცხადებას გააკეთებთ, სჯობდეს ან კონსულტაცია გაიაროთ პრიფესიონალთან, ანდა თავად წაიკითხოთ შესაბამისი ლიტერატურა... ნამდვილად, საქმისთვის ასე აჯობებს...

2009 წელი სახელმძღვანელოების საკონკურსო წელია და არ იქნება ურიგო, თუ ჩვენს მოკრძალებულ შენიშვნებს გაითვალისწინებთ... თუმცა არ მაქვს ამის იმედი თქვენგან...

პატივისცემით...

„საქართველოს რესპუბლიკა“, 7 აპრილი, 2008 წელი

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ქართულ სკოლაში ბრუნდება; შეუშვებენ?

ახლახან განათლების სამინისტროში კონკურსი გაიმართა ქართული სკოლის პირველკლასებით სახელმძღვანელოებზე. საკონკურსოდ წარდგენილი იყო ქართული ენის ათი სახელმძღვანელო (ათი „დედაენა“!). განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა ათივებს! პირველი კლასის სახელმძღვანელოთა ავტორები (ასე მოიხსენიებიან სახელმძღვანელოთა შემდგენლები სამინისტროს მიერ გავრცელებულ დოკუმენტებში) არიან:

1. ვ. რამიშვილი;
2. ნ. გორდელაძე, ნ. ჩხერიშვილი;
3. ბ. სულაკაური, გ. ბედოშვილი;
4. იაკობ გოგებაშვილი (ხაზგასმა ჩემია – გ.გ.);
5. ნ. კუპრავა, დ. ნაზირიშვილი;
6. ნ. მაღლაკელიძე, ც. ყურაშვილი;
7. ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე;
8. ე. სვანიძე, ლ. ბაკურაძე;
9. ჭ. ვახანია;
10. ბ. სარია, ლ. ჩიტაიშვილი.

ათი აღტერნატიული სახელმძღვანელო არის პირველ კლასში ქართული ენისა, ათი „დედაენა“! ბევრი კითხვა იჩენს თავს: ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ეს ფაქტი? კონკურსი ჰქვია იმ შეჯიბრს, როცა ყველა წარდგენილი სახელმძღვანელო იმარჯვებს? შეიძლება ასეთ ფართო არჩევანს სთავაზობდნენ სკოლებს? ასეთ შემთხვევაში არ უნდა უთხრან, რომელი წიგნი როგორ შეა-

ფასა კომპეტენტურმა კომისიამ (პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ცენტრის ოქმებში რა წერია, ეს არაა მისაწვდომი ყველასათვის)? რით უნდა იხელმძღვანელოს სკოლამ არჩევანის გაკეთებისას? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ, განათლების სამინისტრო ამ საქმეს თავს ვერ ართმევს და ამით სკოლებს უმძიმეს დღეში აგდებს... მხედველობაში არჩევანის წინაშე დამდგარი პედაგოგები მყავს...

რამდენადც ჩემთვისაა ცნობილი, არჩევანის გაკეთება მარტივად ხდება: „ავტორები“ და გამომცემლები ზრუნავენ საამისოდ თავიანთი ნაცნობ-უცნობებისა თუ გავლენის სფეროების მეშვეობით (რეალურად არანაირი არჩევანი – საქმის „ჩაწყობა“ პქვია ამას); და აღწევენ კიდეც მიზანს. ამ შემთხვევაში მძიმე დღეში აღმოჩნდება იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო – ავტორი ვერ შეძლებს იზრუნოს საკუთარი წიგნის გაფრცელებაზე...

მოგეხსენებათ, ათეული წლების შემდეგ იაკობ გოგებაშვილის „დედაენაშ“ ოფიციალურად ახლა მიიღო ნებართვა, უმეგზუროს ქართველ მოზარდს წიგნიერების სამყაროში; მადლობა ყველას, ვინც ამისთვის იზრუნა... ჩემი ღრმა რწმენით, ეს წიგნი საუკეთესოა ჩემთვის ნაცნობ სახელმძღვანელოთა შორის; როგორც ამბობენ, ყველაზე მაღალი შეფასება კონკურსში ამ წიგნმა მიიღო; იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას – მას ახლავს მასწავლებლის წიგნიც და მოხწავლის რვეულიც (გამარჯვებულ „დედაენათა“ უმეტესობა სწორედ იაკობის „დედაენის“ მიხედვითად შედგენილი; ამ „დედაენათა“ ავგარგზე სხვა დროს ვისაუბრებთ... ისიც ცალკე საუბრის თქმაა, უნდა მიეთვისებინათ თუ არა მათ ავტორებს იაკობის წიგნის სახელი....). დღეს პრობლემა სხვა რამეა:

კი, იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ მიენიჭა სამინისტროს გრიფი, მიეცა ოფიციალური რეკომენდაცია, მაგრამ მიიღებს კი

მას ქართული სკოლა? შეძლებს კი იაკობ გოგებაშვილი „გაუმ-კლავდეს“ თავის კონკურენტებს („დედაუნათა“ „ავტორებს“!)? ვნა-სოთ; სიტყვა თქვენზეა, სკოლათა ხელმძღვანელებო, დაწყებითი კლასების პედაგოგებო, საკუთარი შვილების ბედით დაინტერე-სებულო მშობლებო!..

„საქართველოს რესპუბლიკა“,
27 ივნისი, № 130, 2009.

SIC: პირ „დედამის“ არნაკული პონძურების

პედაგოგთა უმეტესობა გოგებაშვილის წიგნის მომხრეა

იაკობ გოგებაშვილი თავის დროზე ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ თავისი „დედაენა“ როდისმე მაინც საზოგადეობისათვის პრობლემა და თავსატენი გახდებოდა. მაგრამ XXI საუკუნის ქართველმა განათლების რეფორმატორებმა ამ დიდი საზოგადო მოღვაწის ნაამაგარ და ქართველი ერისთვის ანდერძად გადაცემულ წიგნს გვერდი აუარეს და სკოლაში „ათ ია“-ს პრინციპით წერა-კითხვის სწავლება ამოიღეს.

ამის გამო კრიტიკა, გნიასი, ლანძღვა-გინებამდე მისული საყვედურები განათლების სამინისტროს არ ისცდა; არც იმ ახალ „ავტორებს“, რომლებმაც „დედაენა“ ისე გადააკეთეს, რომ შიგ გოგებაშვილისა არაფერი დატოვეს, სახელის გარდა. ეს იმას ჰგავს, ვინმემ ნაწარმოები შექმნას და „ვეფხისტყაოსანი“ დაარქვას.

მაისში განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების ეროვნულ ცენტრში ათმა „დედაენამ“ მიიღო კონკურსში მონაწილეობა. თუმცა რაღა კონკურსი. ცენტრმა ათიგეს გრიფი მიანიჭა. სახელმძღვანელოები კომისიის წევრებმა მსოლოდ ქულებით შეაფასეს, რომელთა შორისაც გოგებაშვილის „დედა ენამ“ ყველაზე მაღალი – 97 ქულა აიღო. ახლა თვითონ სკოლამ და პედაგოგებმა უნდა აირჩიონ მათ შორის მისაღები და საინტერესო წიგნი.

ავტორები და გამომცემლები არნახულ კონკურენციაში ჩაებნენ. ბუნებრივია, ყველამ საკუთარ გამოცემას გაუწია რეკომენდაციები, განსაკუთრებით იმ სკოლებში, სადაც მეტი ნაცნობ-მეგობარი ჰყავთ. მაგრამ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ის „დედაქანა“, რომლის ავტორიც საკუნის წინათ მიღიცვალა.

სარეკლამო მისია „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებაშ“ ითავა და შეეცადა პედაგოგებისთვის ის პრინციპები შეეხსენებინა, რაზედ თავად აღიზარდნენ, მით უფრო, რომ წიგნის რედაქტორი არის საზოგადოების თავმჯდომარე – მდვდელი კონსტანტინე გიორგაძე.

საზოგადოების წევრებმა უკვე თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს და მასწავლებლებს ღიად და საჯაროდ შესთავაზეს საკუთარი პროდუქცია. მნიშვნელოვან დეტალებზე საზოგადოების თანათავმჯდომარე, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი გვეხსაუბრება:

– ათივე სახელმძღვანელომ მიიღო გრიფი. ეს არ ნიშნავს კონკურსს, ეს არის უბრალოდ რეგისტრაცია. ეს მოხდა იმიტომ, რომ განათლების სამინისტროში არა აქვთ კრიტერიუმი, რა უნდა დააკმაყოფილოს სახელმძღვანელომ. ამიტომ გრიფი აქვს 97 ქულიან წიგნსაც და 17 ქულიანსაც.

მაგალითად, წინა კონკურსში გაიმარჯვე ხუთმა სახელმძღვანელომ. მაშინ ვერ გავიდა ზურაბ ვახანიას „დედაქანა“, მან იჩივლა, თუმცა ვერ მოიგო. როგორც ჩანს, ამგვარ გართულებებს მოერიდა და ამიტომაც ჩაიქნია ხელი სამინისტრომ ყოველგვარ წესზე, კანონზე და გრიფი ყველას მიანიჭა.

– თქვენ პრეტენზია გაქვთ სახელწოდება „დედაქანასთან“ და კავშირებითაც, ხომ?

– დიახ. არ შეიძლება ავტორი ეწოდოს ამ აღამიანებს. თუკი „დადაქანის“ მისედვით ქეთდება ახალი სახელმძღვანელო, ისინი

არიან შემდგენელნი და არა ავტორები. თან „დედაენა“ თუ პქვია, ის აუცილებლად უნდა იყოს აგებული „ამ ია“-ს პრინციპზე. სხვა ტიპის წიგნების ავტორები არიან ქართული ენის სახელმძღვანელოების ავტორები და არა – „დედაენის“, მაგრამ ამას განათლების სამინიტრო არას დაგიდგეთ.

დღეგანდელი პირველი კლასის სახელმძღვანელოები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ერთი – რომელიც აგებულია „ამ ია“-ს პრინციპზე და შეორე – როცა უარყოფილია „ამ ია“-ს პრინციპი, როცა ასოს სწავლება იწყება პირდაპირ სიტყვებით, რომელშიც სხვა უცნობი ასოებია.

– ბატონი გიორგი, ნუ ჩაფუდრმავდებით, რადგან ჩვენს გაზეთში ამაზე საკმაოდ ვრცლად წერდით. მაგრამ საინტერესოა ერთიც, რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა გოგებაშვილის პრინციპს, თუკი შედეგი ერთნაირია: ყველა პირველკლასელმა ჟვე იცის წერა-კითხვა.

– შედეგი ერთნაირი გვიქვს, მაგრამ რა ძალის, რა ენერგიის დახარჯვით მიგიყვანეთ ბავშვი ამ შედეგამდე. ბავშვი „ამ ია“-ს პრინციპის მიხედვით სწავლობს ლალად, მარტივად, ხოლო როცა მთელ სიტყვას აძლევენ, სადაც მხოლოდ ერთი ასოა ნაცნობი და დანარჩენი – უცნობი, რთულია. თან რა ძალა გვადგის, არ არის ამის აუცილებლობა, უცხოელების წამბაძველობა რომ არა.

ბავშვი ნაკლებად ძაბავს გონებას, არ წევალობს, იოლად სწავლობს სათითაოდ ასოებს... ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა; ალბათ მათაც იციან, მაგრამ...

– საინტერესო მასწავლებლების არჩევანი. თქვენი პრეტენზია არის ისიც, რომ განათლების სამინისტრომ არ მიუთითა კონკრეტულად, რა კრიტერიუმით იხელმძღვანელონ წიგნის არჩევისას?

– დიახ. მხოლოდ ქულებით შეაფასეს სახელმძღვანელო და ამის მიხედვით შეაფასებენ პედაგოგებიც? მე არ შემხვედრია მასწავლებელი, რომელსაც რაიმე პრეტენზია გამოეთქა გოგე-

ბაშვილის წიგნის მიმართ. პედაგოგებთან შეხვედრებზე ცხოველი კამათი მიმდინარეობდა და პირიქით, ყველა გამოთქვამდა საყვედურს იმის გამო, რომ არ ეძლეოდათ საშუალება „აი ია“-ს პრინციპით სწავლებისა.

– თუმცა აქამდეც იყო ასეთი პრინციპით აგებული რამდენიმე სახელმძღვანელო. მასწავლებელს ხომ აქვს არღადეგებზე დრო, რომ სახურველი წიგნი აირჩიოს, გულისყურით გაეცნოს ყველას?

– სამწუხაროდ, არა აქვს. სკოლების ბიბლიოთეკები ყველა სახელმძღვანელოს არ იძენენ. თანაც, კონკურსის შედეგი ივნისში გამოქვეყნდა. ხოლო ახლა რამდენიმე დღეში ყველა სკოლამ თფიციალურად უნდა მოითხოვოს ის წიგნი, რომელსაც საბოლოოდ აირჩევს. სხვათა შორის თელავის საჯარო სკოლას არჩევანი უკვე გაკეთებული პქონდა, მაგრამ ჩვენთან კონსულტაციის შემდეგ არჩევანი შეცემალა.

– თქვენ შემოიარეთ თითქმის მთელი საქართველო, რეკომენდაცია გაუწიეთ მხოლოდ გოგებაშვილის „დედაენას“. კონსტანტინე გიორგაძის რედაქტორობით შედგენილ სახელმძღვანელოში დიდი დოზით იყო რელიგიური თემატიკა. ახლაც ასეა?

– არა, კორექტივები შეტანილია, ხოლო რელიგიური ნაწილი თითქმის მოიხსნა. მესამე კლასში იქნება გადატანილი. დარჩენილია საანბანე ნაწილი და დამატებულია სავარჯიშოები, ძალიან კარგად გაკეთებული წიგნია, რადგან მასზე იმუშავეს გამოცდილმა პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა, ოფთალმოლოგებმა და სხვებმა. იქ ყველა პარამეტრია გათვალისწინებული. მხოლოდ ორიოდე ცვლილება შევიდა საანბანე ნაწილში. მაგალითად, ასო „გ“ გოგებაშვილის ბოლო გამოცემაში ისწავლებოდა სიტყვით „ნამგალი“, ხოლო „ჯ“ – სიტყვით „ჯარა“. თანამედროვე ბავშვისთვის ორივე მეტნაკლებად უცნობი სავანია, ამიტომ ესენი შეიცვალა „ანგელოზით“ და „ჯვრით“. „ანგელოზი“ თვით გოგებაშვილმა გამოიყენა ადრინდელ რედაქციაში.

ა. გოგებაშვილის მთავარი პრინციპიც ეს იყო. ბავშვისთვის ნაცნობი და გასაგები უნდა იყოს საგანი რომლის აღმნიშვნელ სიტყვასაც ვასწავლით. სურათს რომ დაინახავს, უნდა მისვდეს და ოცნებს, რა ჰქეიდ საგანს და ზუსტად ის სახელი უნდა ეწეროს ქვევით.

ეს არის პირველი კლასის სახელმძღვანელო, ხოლო მეორე და მესამე კლასის სახელმძღვანელოც მზადდება და მოსწავლებს დახვდებათ, როცა იქ მივღენ.

– მოკლედ, ბატონო გიორგი, „დედავნა“ მეცნ კონკურენციაში ჩაება?

– საკმაოდ მძიმე და არაპატიოსან კონკურენციაში. მასწავლებლს როცა მხოლოდ ქულას სთავაზობ და სხვა არაფერს, ეს არ არის ჯანსაღი კონკურენცია. უბედურება ის არის, რომ არ ვიცით, რა უნდა დააქმაყოფილოს სახელმძღვანელომ.

ყველა ავტორი, რომ გაამართლონ თავიანთი ავტორობა, ისეთ პრინციპებს ცვლიან, რომელიც საერთოდ უარყოფს გოგებაშვილს; მაგალითად, როცა ბავშვს ასოებს ასწავლიან სიტყვებით: ბეღურა, შოშია, ხოხობი და კითხებიან,..., ეს რა არის, პასუხი – ერთია: ეს არის ჩიტი. იმიტომ, რომ პირველკლასელისთვის ყველა ეს ფრინველი ერთნაირია...

სხვა სახელმძღვანელოებში ტექსტებიც შეცვლილია. შემოდის ისეთი მასალა, რომელიც მაინცდამაინც ღირებულს არაფერს აძლევს ბავშვს, გოგებაშვილის წიგნში კი ზნეობრივ-მორალური ტექსტებია, რომელიც გაიმართა თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებით.

– თანამედროვე რეფორმა გულისხმობს ბავშვის უნარ-ჩვევის გამომუშავებას. ამას თუ ამართლებს გოგებაშვილის „დედავნა“?

– აქმაყოფილებს ყველა პრინციპს, რაც ბავშვისთვის აუცილებელია.

– მაგრამ ტექსტები არ უნდა გათანამედროვდეს? დღეს, როცა საკმაოდ რთულად აღსაქმედ მულტფილმებს კარგად იგებს ბავშვი, მას აინტერესებს კოსმოსი, კომპიუტერი... XIX საუკუნის და XXI საუკუნის ბავშვის ფსიქოლოგია ხომ სხვადასხვანაირია?

– ამას გულისხმობს „დედაენის“ გაუკეთესება, რასაც იაკობი ითხოვდა... და არა გაუარესებას. მასში მთავარი და არსებოთი არის საანბანე ნაწილი, ხოლო მომდევნო პერიოდის ტექსტები ეპოქისა და დროის შესაბამისად უნდა შეიცვალოს, ის თანამედროვეობას უნდა შეესაბამებოდეს. იაკობ გოგებაშვილი თვითონვე ამბობდა, როგორც კი „დედაენას“ გაუკეთესება მოაკლდება, მოკვდებათ. ეს არ ნიშნავს პირველივე გაკვეთილზე კოსმოზე საუბარს. გოგებაშვილის პრინციპია მარტივიდან რთულისაკენ და არა პირიქით. როცა ასეთ პრინციპს არღვევ და მერე გოგებაშვილს უწევ კონკურენციას, ეს არის „სასსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპი“ (იაკობის ციტატა). სახელმძღვანელოს შედგენა მომგებიანია, რაც აბრძოლებს ვიღაც-ვიღაცებს გოგებაშვილის წინააღმდეგ.

ესაუბრა თეა მოსია
„საქართველოს რესპუბლიკა“,
14 ივლისი, 2009

განათლების სამინისტრომ გრიგაზვილის „დედაენას“ ცხრა ლაპარი ჩასცა

ახლახან განათლების სამინისტროში ჩატარდა კონკურსი პირველკლასელთა ქართული ენის სახელმძღვანელოებზე. საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო ათი სახელმძღვანელო. კონკურსი უჩვეულო ფორმატით წარიმართა, განათლების სამინისტრომ ათივე საკონკურსო წიგნს გრიფი მიანიჭა. მათ შორის იყო იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაც“. ეროვნულ სკოლებში „დედა ენის“ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით შექმნილ სიტაუციაზე გვესაუბრება ფილოლოგის მეცნიერებათ დოქტორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

– ბტონო გიორგი, რა კრიტერიუმით ისელმძღვანელოს სკოლაშ „დედა ენის“ სახელმძღვანელოს შერჩევისას და, საერთოდ, რამ გამოიწვია ასეთი ფართო არჩევანის შეთაფაზება?

– ქართულ ენას ეროვნულ სკოლაში დღეს ისეთივე ბედი აქვს, როგორც მთელ საქართველოში. ამჯერად პირველ კლასში ათი ალტერნატიული სახელმძღვანელოა, რომელთა ავტორები არიან: 1. იაკობ გოგებაშვილი; 2. ნ. გორდელაძე, გ. ჩხერიმელი; 3. ბ. სულაკაური, მ. ბედოშვილი; 4. ვ. რამიშვილი; 5. ნ. კუპრავა, დ. ნაზირიშვილი; 6. ნ. მაღლაკელიძე, ც. ყურაშვილი; 7. ვ. როდონაძა, ლ. ვაშაკიძე; 8. ე. სვანიძე, ლ. ბაკურაძე; 9. ზ. გახანია; 10. ბ. სარია, ლ. ჩიტაშვილი.

ახლა გევითხებით, კონკურსი ჰქვია იმ შეჯიბრს, რომელშიც ყველა წარმოდგენილი სახელმძღვანელო იმარჯვებს? ეს

უბრალოდ რეგისტრაციაა... – ამან გამოიწვია ფართო არჩევანი. არ ვიცით, კომპეტენტურმა კომისიამ რომელი სახელმძღვანელო როგორ შეაფასა, რადგან პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ცენტრის ოქმები ყველასთვის სელმისაწვდომი არაა. არადან იცის, არჩევანის გაკეთებისას რით უნდა იხელმძღვანელოს სკოლაშ. აქედან ნათელია, განათლების სამინისტრო თუ როგორი სირთულის წინაშე აყენებს პედაგოგებს. მათ წიგნებს არ აჩვენებენ, რესურს-ცენტრებში მხოლოდ ამ სახელმძღვანელოთა სიები დარიგდა. საქმე ის გახდავთ, რომ ავტორები და გამომცემლები თვითონ ზრუნავენ თავიანთ სახელმძღვანელოთა დამკვიდრებისათვის; ამბობენ, სახელმძღვანელოების გამსაღებლებს თანხის რაღაც ნაწილზე ურიგდებიან, რის შედეგადაც ეროვნულ სკოლებში მახინჯ სახელმძღვანელოებს ვიღებთ. ჩვენ უკვე ვიცნობთ ამგვარად „გამარჯვებულ“ სახელმძღვანელოთა უმეტესობას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ზოგიერთი მათგანის სკოლაში შეტანა დანაშაულია! ასეთ სიტუაციაში ცუდ დღეშია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რომელიც, რა თქმა უნდა, საუკეთესოა შეთავაზებულ სახელმძღვანელოთა შორის. რამდენადაც ვაცი, ყველაზე მაღალი შეფასება კონკურსში ამ წიგნმა მიიღო.

– იქნებ, „დედა ენა“, რომელზეც თაობები იზრდებოდნენ, დღევანდელი გადახახედიდან მოძველდა....

– ვერ დაგეთანხმებით, იგი თავისი შინაარსით აქმაყოფილებს სახელმწიფოს სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას; მას ახლავს მასწავლებლის წიგნიც და მოსწავლის რეგულიც. გამარჯვებულ „დედაენათა“ უმეტესობა სწორედ იაკობის „დედაენის“ შიხედვითაა შედგენილი.

გვქონდა შესაძლებლობა, თვალი მიგვედევნებინა, თუ როგორ ხდება სკოლებში სახელმძღვანელოთა არჩევა. პროტექციონიზმი და უსამართლობა ამაზე შორს ვერ წავა.

ასეთ სიტუაციაში ვეჭვობ, იაკობ გოგებაშვილი დანარჩენი ავტორების საქმის „ჩაწყობას“ გაუმტკლავდეს! მთავარია, რა პოზიციას აირჩევენ სკოლების ხელმძღვანელები, დაწყებითი კლასების პედაგოგები, საკუთარი შვილების ბედით დაინტერესებული მშობლები. ბავშვს თუ პირველი ნაბიჯი სწორად ვერ გადავადგმევინებთ, ის სიარულს ვერ ისწავლის. მით უმეტეს, დღეს დედაენას არნახულ კონკურენციას უცხო ენების მოქარბებული სწავლება უწევს. გოგებაშვილი ამბობდა: „დედაენის გაცვლა უცხო ენაზედ, ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლებით პქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარ სიტუტუცეზედ ჩამოხტება“. განათლების სამინისტრომ კი სტანდერტების გვერდით ჩაწერა შენიშვნა: მართალია, წესით, უცხო ენის სწავლება მასამე კლასიდანაა მიღებული, მაგრამ, თუ სურვილი ექნებათ სკოლებს, შეუძლიათ უცხო ენის სწავლება პირველი კლასიდან დაიწყონ. ასე რომ, სწავლება „თუ გინდაზეა“. ჩვენ კი ყოველივე ამას თვალს ვუწუჭავთ, როდესაც საგანმანათლებლო პოლიტიკა ბავშვის გონების საზიანდაა მიმართული. ისევ გოგებაშვილს დავითორწმებ: „საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კევრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“.

– ჟმირად ისმის ჩივილი, რომ ეროვნულ საგამოცდო პროგრამებში ის საკითხები შედის, რომლებიც სკოლებში არ ისწავლება, ნუთუ ეს მართალია?

– აღნიშნული პრობლემა, სამწუხაროდ, არსებობს. ამას ქმნის პრინციპულად განსხვავებული ალტერნატიული სახელმძღვანელოები, ერთიანი სტანდარტებისა და ერთიანი პროგრამების უქონლობა. V და VIII კლასების ალტერნატიული სახელმძღვა-

ნელოები თემატიკითაც და მეთოდიკითაც პრინციპულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ერთ სკოლაში მოსწავლე ერთი სახელმძღვანელოთი სწავლობს, მეორეში – მეორეთი. IX-XI კლასებში ქართული ენის სახელმძღვანელოს ჰქვია „ქართული ენა და ლიტერატურული“, სადაც ენა როგორც სისტემა საერთოდ არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გზადაგზა, ფრაგმენტულად, ლიტერატურული ნაწარმოების ქვემოთაა მიწერილი ენის საკითხები. X კლასის სახელმძღვანელოს „ქართული ლიტერატურა ჰქვია“, სადაც ენა საერთოდ არ ჩანს. XII კლასის სახელმძღვანელოს აწერია „ქართული“. რას ნიშნავს „ქართული?“ ეს ხომ რადაცის მსაზღვრელია?... სინამდვილეში მასში ქართველი მწერლების გვერდით 16 უცხოელი ავტორია შესული, მათ შორის: კაფკა, ჰესე, ჰემინგუეი, მორუა, ვიიონი და სხვა. რას იშნავს ამ შემთხვევაში „ქართული“?..

შეუთანხმებდობა განათლების სამინისტროს ორ ცენტრს შორის – პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრსა და ეროვნული გამოცდების ცენტრს შორის – მიუტევებელ შეცდომებს წარმოშობს. საგამოცდო პროგრამებში ისეთი საკითხები შედის, რომლებიც ან რომელიმე აღტერატურულ სახელმძღვანელოში არ არის, ან – არც ერთ მათგანში. ეს უბრალო დარღვევა არა არის, ეს დანაშაულია, რაც სერიოზული განსჯის საგნად უნდა იქცეს.

– ყველაფერი ეს განათლების მეზვეურთა არაკომპეტენტურობის ბრალია?

– განათლების სამინისტროს თუ იმ კონტექსტში მოვიაზრებთ, რაც ქართული ენის წინააღმდეგ ხდება, აღმოჩნდება, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულია. მირჩევნია, ვიფიქრო, რომ რადაც არ იციან და ეშლებათ... გადაბავლეთ თვალი, რა ხდება ირგვლივ... თუნდაც: აღდგენილ „ივერიის“ შენობას ყველა მხრიდან ამშვენებს წარწერა Redisson, ეროვნული შინაარსის ქართული

წარწერა კი გაქრა. ბარნოვის ქუჩაზე ჩინეთის საელჩოს ფირნიშვი მხოლოდ ინგლისური და ჩინური წარწერებია; დასავლეთ საქართველოში ტრასა წალეპა თურქულმა წარწერებმა... ასეთ მაგალითებს ვერ დავთვლით...

არის შემთხვევები, როდესაც სამსახურის დაწყების მსურველებს უცხო ენის ცოდნას სთხოვენ იმ შემთხვევაშიც, როცა ამის აუცილებლობა არაა; მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეს კონსტიტუციური უფლება აქვს, თავის სამშობლოში მშობლიური ენის ცოდნით იცხოვოთ და იასრებოთ. სხვანაირად ეს მისი უფლებებისა და ეროვნული ინტერესების შეღახვაა.

სახელმწიფომ იმაზეც უნდა იზრუნოს, კომპიუტერთან რომ მივიდე ან მობილურით ვისარგებლო, არ უნდა მჭირდებოდეს ინგლისური ან რუსული ენის ცოდნა, მას ქართული მენიუც უნდა ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით, ბოლშევიკები უფრო ყურადღებიანი იყვნენ თავის დროზე. აუცილებლად უნდა დავსვათ საკითხი, მოგვეცეს ჩვენს ქვეყანაში ქართულად ცხოვრების უფლება. ეროვნულ სკოლებში აღდგეს ეროვნული სახწავლო პროცესი და განათლების საკითხს სერიოზულობა დაუბრუნდეს. ჩვენი პოლიტელიტა შვილებს განათლების მისაღებად უცხოეთში აგზავნის. ეს ის „ბეწვის ხიდია“, რომელზეც დიდი ილია ჯერ კიდევ 1861 წელს წერდა. უცხოეთში განათლების მისაღებად წასული ჩვენი შვილების ფეხქვეშ შეიძლება ის „ბეწვის ხიდი“ ჩაწყდეს და მათ სამშობლოსთან კავშირი დაკარგონ...

ფრთხილად, ქართველებო! ენათა აღრევამ თვით ბაბილონის გოდოლი დაანგრია.

ესაუბრა ლალი შაშიაშვილი

„საქართველო და მსოფლიო“,
15-21 ივლისი, 2009

ნაწილი III

ღიმილნარევი ასოციაციაში

...

რამდენიმე პარლამენტარს ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტზე პასუხების გაცემა სთხოვეს. ითქვა, VI-VII კლასები ბავშვები უკეთ პასუხობენო... მათ მიერ შევსებული სელნაწერი დოკუმენტები აჩვენეს ტელევიზით: ძ-ს მაგივრად ხ-ს წერდნენ, ჟ-ს მაგივრად – წ-ს...

პარლამენტარებსა და მთავრობის წევრებს პკითხეს, ბოლოს რა სპექტაკლი ნახეთო და ვერ გაიხსენეს...

სახელმწიფო კანცელარიის უფროსი მონდომებით ამტკიცებდა, ამ შენობაში გაზეთებს არაფინ კითხულობსო...

ერთი პოპულარული ტელეწამყვანი ხშირ-ხშირად იმეორებდა, რომ მას უმაღლესი განათლება არა აქვს...

წერა-კითხვასთან ასე დემონსტრატიულად დაპირისპირებულ ხალხზე რომ ვთიქრობ, იღლია ჭავჭავაძის ერთი პერსონაჟის ნათქვაში მახსენდება: „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არ მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი!“

...

მ. ჯავახიშვილს 1930 წელს უხეირო ქართულის მაგალითად ჩაუწერია „ორსული ძროხა“...

დღეს დასავლური განათლების სოფლის მეურნეობის მინისტრი პ. ციხარიშვილი რესთავი-2-ის ეთერში ასე საუბრობს: „ჰოლანდიიდან შემოვიყვანთ ქალ ძროხებს; მაღალია მათი წელადობა; ისინი ყოველ წელს შობენ ხბოს, თანაც 90% ქალი ხბოა“ (5. II. 2006. ბიზნეს-კურირი)...

დილარ ხაბულიანი: ეს უნდა იცოდეს მოსახლეობის მთელმა ნაწილმა (23. II. 2006. კურირი)...

ჰოდა: ეს მინისტრი მერე დააწინაურეს და საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის ლიდერი გახდა... ის გამგებელიც დააწინაურეს და საკანონმდებლო ორგანოში წამოასკუპეს... ასეთ მაგალითებს თვლა არა აქვს... ინგლისში პრემიერმინისტრ ტონი ბლერს იმპიჩენტი კინაღამ მოუწყვეს, რომელიდაც სიტყვას სწორად ვერ წერო...

გვიანი მინაწერი: პრეზიდენტის საუბრიდან (მუხროვანის ინციდენტის კომენტირებისას) – „კაცს თავი უნდა ებას თავზე... იგი ემუშავება მტერს გაცნობიერებულად“...

...

დღეს (25. XII. 2008) სამების ტაძარში მიხეილ სააკაშვილმა სიამაყით გაიხსენა 1978 წლის 14 აპრილი, როცა „ქართველ ხალხს მოუნდომეს სახელმწიფო ენის წართმევა და არ გამოუვიდათო“...

გამახსენდა: „გარდების რეგოლუციის“ შემდეგ –

გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;

გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;

გაუქმდა პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

გაუქმდა ყველა რადიო და ტელეგადაცემა, რომელიც ქართულ ენას ეძღვნებოდა...

შემცირდა ქართული ენის საათები ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებში...

ქართული აღარაპ სავალდებულო საგანი უმაღლეს სასწავ-
ლებლებში...

და სხვა... და სხვა...

ჰოდა, „არ გამოუვიდათ“ მაშინ, მაგრამ... გამოუვიდათ
ახლა...

...

ივანე ჯავახიშვილი წერს: იანოვსკიზე დიდი მტერი ქართულ
ენას არ ჰყოლიათ. იანოვსკი XIX საუკუნის ბოლოს იყო კავკა-
სიაში მზრუნველი განათლების დარგში. მან გამოაქვეყნა გეგმა
სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო
ქართული განათლების სისტემის განადგურების, ქართული ენის
დათრგუნვის პროგრამა... ამის გამო მისცა ივანე ჯავახიშვილ-
მა ასეთი შეფასება... იანოვსკის ილია ჭავჭავაძემ და იაკობ
გოგებაშვილმა უპასუხეს; იაკობს პირადი შეხვედრებიც ჰქონდა
იანოვსკისთან... ეს გრძელი თემაა; მოდით, მოკლედ მოგჭრათ:
იანოვსკიმ, და შესაბამისად რუსეთის იმპერიამ, უკან დაიხია...

უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო, მეცნიერებათა აკადე-
მია, განათლებული და წიგნიერი საქართველო რამდენიმე წელი
უმტკიცებდა ლომაიას და მის გუნდს (ჩუბუასნაირებს), იღუპება
ქართული განათლება და მეცნიერებათ მაგრამ... იანოვსკი და
რუსეთის იმპერია გაცილებით უფრო შეენტენდით მოეკიდა ქვეყნის
ინტერესებს... ვაი ჩვენი ცოდვა: იანოვსკი სანატრელი გაგვიზდა
ლომაიას (და მისნაირების) შემყურეს...

...

„თქვენი არ ვიცი და, მე კი დარწმუნებული ვარ: რაც ჩვენმა
მოსისხლე მტრებმა საუკუნეთა მანძილზე, საქართველოს მრა-

ვალგზისი დალაშქერით ვერ შეძლებ – სულ მაღვე მიაღწევენ ესენი. მოისპობა ენა ქართული! – უკეთე ასე გაგრძელდა და სმა არ აიმაღლა ვინმექ“, – წერდა მუხრან მაჭავარიანი ამ ორმოციოდე წლის წინათ... თქვენ რა, გეგონათ რომ ახლა ითქვა ეს? თუ ასე იფიქრეთ, „ესენი“ ვინ გეგონათ?.. კი, მეც ასე მეგონა, სანამ თარიღს დავხედავდი...

სარჩევი

ნაწილი I

| | |
|--|----|
| წინათქმა | 3 |
| ბედი ქართული ენისა მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან (უურადღებას ვთხოვ საქართველოს ხელისუფლებას). | 5 |
| არსებობს თუ არა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, ანუ „რა შეესაბამება სინამდვილეს“ | 14 |
| დაას, არ ვიგარგებთ ასე დაშორიშორებული (ღია წერილი ბატონ თტია თოსელიანს) | 19 |
| რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა? (ღია წერილი საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ნოდარ გრიგორიშვილს) | 29 |
| ფართომასშტაბიანი ომი ქართული ენის წინააღმდეგ (მიმართება საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ ხაიგაშვილს) | 37 |
| დედაენაზე ზრუნვა ბოლშევიკებისაგან უნდა ვისწავლოთ | 40 |
| ქართული ენა აღარ არის საგალდებულო უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტზე | 45 |
| ქართული ენა და ეროვნული აკადემია | 53 |

ნაწილი II

| | |
|---|----|
| დედაქანა – იაკობის სიტყვათშემოქმედების ნაყოფი | 55 |
| ვისია „დედაქანა“? | 63 |
| დილეტანტიზმი და არაკომპეტენტურობა დაღუპავს ქართულ სკოლას (ღია წერილი ხიმონ ჯანაშიას) | 68 |
| იაკობ გოგებაშვილის „დედაქანა“ ქართულ სკოლაში ბრუნდება; შეუშვებენ? | 72 |
| SIC: ათი „დედაქანის“ არნახული კონკურენცია (პედაგოგთა უმეტესობა გოგებაშვილის წიგნის მომხრეა). | 75 |
| განათლების სამინისტრომ გოგებაშვილის „დედაქანას“ ცხრა ლაპვარი ჩახცა. | 81 |

ნაწილი III

| | |
|----------------------------------|----|
| დიმილნარევი ასოციაციები. | 86 |
|----------------------------------|----|

გ. გოგოლაშვილის წიგნები

1. დრო-კილიმთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, 1984 წელი
2. ქართული ზმის უდვლილების სისტემა, 1988 წელი
3. ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, 1989 წელი
(თანაავტორები ც. კვანტალიანი, დ. შენგელია)
4. ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, 1991 წელი
(თანაავტორები ც. კვანტალიანი, დ. შენგელია)
5. ფიქრები დედაქაზე, 1997 წელი
6. ერთხელ საქართველოში, 2000 წელი
(თანაავტორი თ. ხმალაძე).
7. მარადიული თანამედროვენი, 2000 წელი
8. „დედაქა“ – წიგნთა წიგნი, 2001 წელი
9. ქართული – ენაი შემგული და კურთხული, 2004 წელი
10. ბედი ქართული უნივერსიტეტისა ათასწლეულის კარიბჭესთან, 2006 წელი
11. ასოციაციები, ვარდისფერი პარადოქსები, 2009 წელი
12. ქართული სალიტერატურო ენა
(ისტორია და თანამედროვეობა), 2009 წელი
13. წბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან, 2009 წელი